საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

შაბათი, 27 ოქტომბერი. 2018 წ. №215 (8616) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუკის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაცვეღნებული კურღღლები ძუ ლომის წინააღმდეგ!

საქართველოს პირველმა ქართველმა ქალმა პრეზიდენტმა უნდა „უდიასახლისოს“!

ხვალ საღამა გონებამ უნდა გაიმარჯვოს

ბიძინა ივანიშვილი: ② ქალიან გაბრაზებული ვარ!

ჯოხით შეიარაღებული ზაზა სარალიძე თავს დაესხა პოლიციის თანამშრომლებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, **რუსთაველის გამზირზე ჯოხით შეიარაღებული ზაზა სარალიძე თავს დაესხა პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ.**

უწყების ცნობით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ზაზა სარალიძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით პოლიციელზე თავდასხმისთვის დააკავეს.

ზაზა სარალიძემ პოლიციელთა მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება სასწრაფო დახმარების ავტომანქანაში განაგრძო, რომელიც რუსთაველის გამზირზე პოლიციისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად მივიდა. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ზაზა სარალიძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით პოლიციელზე თავდასხმისთვის დააკავეს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით დაკავებულია ასევე ზაზა სარალიძის თანმხლები ორი პირი, — ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ვინ მოკლა 9 წლის ანგელოზი გორში?

„საქართველოს რესპუბლიკა“ იგზიარებს წამებით მოკლული ბავშვის ოჯახის ტრაგედიას! ⑥

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ელექტრომობილები: ეკონომიკური მდგრადობის გაზრდის კიდევ ერთი გზა ⑨

ნოემბრიდან ბინებისა და მანქანების ფასიც დაეცემა და რეალიზაციაც!

ყველაზე მეტი საფრთხე გაზის ტარიფს ემუქრება!

პუტინი „ერის ლიდერობისთვის“ ⑧ ემზადება!!!

ჯოელ ოლოფს ჯეისონ სოკუნეთან სიღრმიდან ვეღაჭარაკება ⑪

გინვევთ ევრაზიის ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო დეგუსტაციაკონკურსზე „საქართველო – ღვინის სამშობლო“ ⑤

მურმან ქურიძე:

ძალიან გაბრაზებული ვარ!

ბიძინა ივანიშვილის გუშინდელი ინტერვიუს მთავარი დეტალები

ზაზა სარალიძე რუსთაველზე ადგილს უნახავს „ნაციონალურ მოძრაობას“!..

ის, რომ ზაზა სარალიძე ადგილს უნახავს „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს ხომ ყველამ ვიცით, – თქვა გუშინ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე.

„ძალიან ვწუხვართ იმ ტრაგედიის გამო, რომელიც მოხდა, მაგრამ ბატონ ზაზას ვთხოვდი, კეთილი ინებოს, ასე არ შეიძლება ტრაგედიის პოლიტიზირება. ის, რომ ადგილს უნახავს „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს ხომ ყველამ ვიცით. ის კარავი რისთვის დგას რუსთაველზე ხომ ვიცით. ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა ამ საქმეზე, მთავარი პროკურორი გადადგა, თუმცა ამის აუცილებლობა საერთოდ არ იყო. მე ვთხოვდი ბატონ ზაზას, რომ ხელს ნუ შეუშლის სასამართლოს, არ არის ეს ნორმალური, არ იმსახურებს დღევანდელი ხელისუფლება ამას, რაც ხდება. არ არის საჭირო ქუჩა. დაველოდოთ ჯერ კიდევ ყველაფერს, ყველა კითხვას გაეცემა პასუხი, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილმა, როგორც წინა ინტერვიუზე, ახლაც თქვა, რომ გირგვლიანისა და ამ ტრაგედიის შედარება უზნეობაა.

ეკა გიგაურს ვანიშნე, რომ გავიდეს სამოქალაქო სექტორიდან

– ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ხელმძღვანელთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, წარმოუდგენელ თამაშში შევიდა კაპიტანი გიგაური.

„მისი გამოსვლებით ის ცდილობს, ქვეყანა არათუ შიგნიდან დააზიანოს, არამედ მთლად დაუკრეფავში გადადის, რომ თითქოს ამერიკის ელჩს არ ნიშნავს ივანიშვილი. **წარმოუდგენელ თამაშში შევიდა ეკა გიგაური. ამაზე პასუხის მცდელობაც არ მექნება“,** – განაცხადა ივანიშვილმა.

ნაცები ყველაფერზე არიან წამსვლელი, მაგრამ მაგათ მაგის საჯდომი არა აქვთ

– განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა უკრაინულ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით, სადაც სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილი და მისი ბიძა, თემურ ალასანია ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციაზე საუბრობენ. მისი თქმით, მისი ლიკვიდაცია იოლი არ არის, რაზეც ნიკა გვარამია ოცნებობს.

„იმ ჩანაწერების მე არ მჯერა, სანამ ავთენტურობა არ დადგინდება, რაც გუშინ გამოვიდა და რაზეც საუბრობდნენ პრეზიდენტი და მისი ბიძა, თუმცა არაფერი არ მიკვირს. ესენი ყველაფერზე არიან წამსვლელი, მაგრამ საზოგადოებას ვეტყვი, მაგათ მაგის საჯდომი არა აქვთ. იოლი არ არის ჩემი ლიკვიდაცია, რაზეც გვარამია ოცნებობს. მაგათ მაშინ ჰქონდათ ძალა, მგლის ხროვასავით ერთად რომ იყვნენ, მაშინ ჩაგრავდნენ ქართველ კაცს. ახლა მაგათ მაგის თავი სად აქვთ. არ იფიქროთ, წამსვლელები არიან, მაგრამ თუ ვინმეს რამის შიში გაქვთ, არაფრის შიში არ გქონდეთ. პატარა კაცები ებრძვიან ძლიერ ქალს, მაღალია საკაშვილი, მაგრამ პატარა კაცია. მე მაინც მოთმინებას გთხოვთ. ესენი ჩვენი ქვეყნის შვილები არიან, გვარამიაც, კვესიტაძეც. მათ უნდა მოვექცეთ ისე, რომ ჩვენი კულტურა არ დავაზიანოთ“...

იხ. 5 გვ.

პირველად ვირჩევთ პრეზიდენტად ქალბატონ – სალომე ზურაბიშვილს!

დღევანდელი ჩვენი ყოფის ანალიზი გვიჩვენებს,რომ საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი სერიოზული საშიშროების წინაშე დგას... მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებზე გამოჩნდება „ვინ არს ერთგული, ვის უფრო გვიყვარს, ძმანო მამული!“ აღსანიშნავია, რომ შესაძლებლობა გვეძლევა, გავაკეთოთ ისტორიული და სწორი არჩევანი. პირველად საქართველოს ისტორიაში ავირჩიოთ პრეზიდენტად ქალი. ქალი დედა, ქალი სიცოცხლისა და უკვდავების წყარო... ჩვენს ამგვარ აქტიურ ქმედებაში უნდა ვირწმუნოთ, რომ ღვთივკურთხეული კოდია ჩადებული... ამ მოვლენას უნდა მიეცეს ყოველმხრივ გონივრილი ყურადღება და მოხდეს მისი სათანადოდ სიღრმისეული და ეროვნული შეფასება. საგულისხმოა, რომ ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი არის ერთადერთი, დიდი და საამაყო ისტორიული წარსულის მქონე, ფრიად განათლებული და განსწავლული, ევროპელი-ქართველი, დიდი დიპლომატიური გამოცდილების მქონე, პრინციპული, იდეებით, აქცენტითა და გემოვნებით გამორჩეული დამოუკიდებელი კანდიდატი.აღიარებული და ვალმოხდილი წინაპრების ღირსეული მემკვიდრე. ამბობენ: ,,მითხარი ვისი გორისა ხარ და გეტყვი ვინა ხარ შენ“. სამწუხაროდ, სხვა კანდიდატების მიმართ, ამგვარი მიდგომისა და მსჯელობის საფუძველი არ არსებობს. აქედან დასკვნის გაკეთებაც ადვილია...

მაინც ვინ არის ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი? ჰაი, ჰაი, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ძნელი მართლა არ არის. ნათქვამია, ,,ხის სიმაღლე, მიწის ზედაპირიდან კი არა, ფესვებიდან იზომებაო.“ და, თუ ამ გამოთქმაში ჭეშმარიტებაა, ხმამაღლა უნდა ვთქვათ: ქალბატონ სალომეს ფესვები საქართველოშია და დიდი ნიკო ნიკოლაძიდან იწყება. რატომ დიდი? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ის იყო დიდი ოჯახის თავკაცი. მსგავსი სხვა ოჯახი, საქართველოს სინამდვილეში საერთოდ არ მოიძებნება, ვინ იყვნენ ნიკო ნიკოლაძის ოჯახის წევრები: მეუღლე – ოლღა გურამიშვილი; შვილები – გიორგი, თამარი, რუსუდანი; სიძეები – ნიკო მუსხელიშვილი, გიორგი წერეთელი, ილია ზურაბიშვლი და სხვები. ღმერთო ჩემო, მადლობა უფალს! რა ტალანტებისა და გენიოსების ვარსკვლავთ ცვენაა!..

დიახ, ქალბატონი სალომე ნიკო ნიკოლაძის შვილთაშვილია, მისი გენი და ჯიშია, მასავით პირდაპირი და პირუთვნელი... ამიტომაც, ბუნებრივია, მისგანაც არა მარტო უნდა ველოდოთ მსგავს ტენდენციებს და წარმატებებს, მას თამამად შეუძლია თქვას: „მე ჩემი წინაპრების მხრებზე ვდგავარ და ძალიან შორს ვიხედებიო.“

კიდევ ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო და საზოგადოებას ვაუწყო: 1994 წელს, შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, ევროპის მრეწველთა ასოციაციის სიმპოზიუმი ჩატარდა. ამ სიმპოზიუმზე აღინიშნა, რომ საქართველოს მრეწველობის მამამთავარს და ამ დარგის პირველ თავკაცს, ბატონ ნიკო ნიკოლაძეს უმაღლესი განათლებამიღებული და სადოქტორო დისერტაცია დაცული ჰქონდა შვეიცარიაში. ამ განცხადებას დამსწრე საზოგადოება დიდი ოვაციებით და აღტაცებით შეხვდა. ასოციაციის პრეზიდენტმა, შესვენების შემდეგ, საქართველო ევროპის მრეწველთა ასოციაციის წევრ ქვეყნად გამოაცხადა... ზოგიერთი საეკლესიო მოძღვარი, ამ ბოლო დროს, ერთგვარი გაუგებრობის გამო, უსაფუძვლოდ განაწყენდა ქალბატონ სალომეზე... სასიამოვნოა, აღინიშნოს, რომ ეს გაუგებრობა ამჟამად ამოწურულია...

იხ. 4 გვ.

საბედისწეროდ ნუღარ შევცდებით!

ფრთხილად, კანდიდატთაგან არაერთხელ მოტყუებულო ამომრჩეველო! იცოდე, რომ მავნე ქოსატყუილების ვაშაძის ან ბაქრაძის სახელმწიფოს მეთაურად არჩევით შენ ისევ ბოროტმოქმედ სააკაშვილს ირჩევ თავის მავნებელ ხროვასთან ერთად, რომელთა ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი ერთხელ უკვე მწარედ იწვნიე!

ვინ გახდება აკადემიკოსი?

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აქვეყნებს იმ პირთა სიას, რომლებიც აკადემიკოსობის კანდიდატებად წამოაყენეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა, სახელმწიფო უმაღლესმა სასწავლებლებმა და სამეცნიერო საზოგადოებებმა:

კანდიდატის გვარი, სახელი	სპეციალობა, ვაკანსია
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	
	ფიზიკა - 1 ვაკანსია
1. წესრესიანი ალექსანდრე 2. ხელაშვილი აზზორ 3. შეყრილაძე ირაკლი 4. კვინიხიძე ალექსანდრე 5. კახნიაშვილი თინათინ	
	ექსპერიმენტული ფიზიკა - 1 ვაკანსია
1. ხუბუა ჯემალ 2. გერასიმოვი ალექსი 3. ნიორაძე მიხეილ 4. შენგელაია ალექსანდრე 5. კეკელიძე ნოდარ	
გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება	
	სამთო მეცნიერება - 1 ვაკანსია
1. ჯაფარიძე ლევან 2. მახარაძე ლეონ	
	მანქანათა მექანიკა - 1 ვაკანსია
1. ნატრიაშვილი თამაზ 2. თავხელიძე დავით 3. ქაშაკაშვილი გურამ	
	საგზაო-სატრანსპორტო სისტემები - 1 ვაკანსია
1. შილაკაძე თამაზ 2. გელაშვილი ოთარ	
დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	
	გეოგრაფია - 1 ვაკანსია
1. გაჩეჩილაძე რევაზ 2. წერეთელი ემილ	

ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	
	მორფოლოგია (ადამიანის ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ჰისტოლოგია) -1 ვაკანსია
- ხეცურიანი რამაზ	
	ფიზიოლოგია, ბიოქიმია -1 ვაკანსია
1. ალექსიძე ნუგზარ 2. ბექაია გურამ 3. ლაბახუა თამაზ 4. ფაღავა ყარამან 5. ქევანიშვილი ზურაბ	
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	
	მცენარეთა დაცვა -1 ვაკანსია
- ალექსიძე გურამ	
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	
	პოპულაციური გენეტიკა - 1 ვაკანსია
- შენგელია რამაზ	
	პალეობიოლოგია - 1 ვაკანსია
- ლორთქიფანიძე დავით	
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	
	პოლიტოლოგია, ფილოსოფია - 1 ვაკანსია
1. გოგიაშვილი ომარ 2. ფირალიშვილი ზაზა 3. მახარაძე მიხეილ 4. დოლიძე მამუკა 5. რამიშვილი ვალერიან 6. კურატაშვილი ალფრედ	
	დემოგრაფია - 1 ვაკანსია
1. ლორთქიფანიძე ვაჟა 2. სულაბერიძე ავთანდილ	
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
	ენა, ლიტერატურა, კულტურა - 1 ვაკანსია
1. მაჭავარიანი ელენე 2. სიგუა სოსო 3. ჩუხუა მერაბ 4. გაბიძაშვილი ენრიკო 5. მერაბიშვილი ინესა 6. ჩანტლაძე იზოლდა 7. ალიბეგაშვილი გიორგი 8. ჯაგოდნიშვილი თემურ 9. გოგოლაშვილი გიორგი 10. სულავა ნესტან 11. ხაჩიძე ლელა 12. ანდრიაძე დავით 13. მახარობლიძე თამარ	

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
გიორგი კვესიტაძე;

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოს-მდივნის მოვ.შემსრ., აკად. წევრ-კორ.
რამაზ ხუროძე

სამტრედიელებო,

საოქტომბრო „გამოცდებში“ არასოდეს ჩავჭრილვართ!..

პატივცემულო მკითხველო,
ჩემო ძვირფასო სამტრედიელებო!

28 წლის წინანდელ რეფერენდუმში მონაწილე 45662 ადამიანიდან მხოლოდ 63 წინააღმდეგი აღმოჩნდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამ პერიოდში დამოუკიდებელმა საქართველომ ოთხი პრეზიდენტი „გამოიმუშავა“ და კიდეც „გადაამუშავა“ თუ „მოინელა“... მაგრამ რასაც რეფერენდუმში მონაწილე, ერთიანი საქართველოს მოსახლეობა ელოდა, ჩვენთვის ძალზე სამწუხაროდ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ ჰაერშია გამოკიდებული. ჰოდა, თვალწინ გვიდგას, რიგით მეხუთე საყოველთაო წესით ასარჩევი საქართველოს პრეზიდენტი, რისი მსურველიც ბოლო დაზუსტებული სიით ოცდახუთი მაძიებელი კანდიდატით შემოიფარგლა.

საქართველოს პრეზიდენტობის მსურველთა რიცხვში ცხოვრებაგამოვლილი, დაბრძენებული, გონიერი ახალგაზრდა მამაკაცებიც არიან, მათ შორის მხოლოდ ერთი პატივცემული ქალბატონია სალომე ზურაბიშვილი.

ახლა საუბარი მსურს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატთა შორის მყოფ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილზე, რომელიც ამ გრძელი სიის წევრი ერთადერთი ჭერშმარიტად მაღალკვალიფიციური და მრავალნაცადი დიპლომატი, სენის წყალდალეული ქალბატონი არის ზურაბიშვილთა დიდი ოჯახის წარმომადგენელი. პირადად მისი ბიოგრაფიაც წილნაყარია ბედკრული საქართველოს XX და XXI საუკუნეებზე გადანაწილებულ ტკბილ-მწარე ასწლეულში.

აქვე აღვნიშნავ, რომ ქალბატონ სალომეს, თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, მსოფლიო დონის და რანგის ნებისმიერ პოლიტიკოსთან და მათ ხელდასხმულ დიპლომატ მინისტრებთან სასაუბროდ და, გნებავთ, საპაექროდ, ყველა დიპლომატიური წეს-ეტიკეტის დაცვით საუბრის წარმართვისას, „ჭკუის მასწავლებელი“ დამხმარე პირი არ დასჭირდება. საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების გადაწყვეტილებების გამოსამზეურებლად არც სუფლიორს მოითხოვს.

ხაზგასასმელია ისიც, რომ უკვდავი სახელის მქონე, სრულიად საქართველოზე გადაგებული ერისკაცის, სულგანათლებული დიდი ნიკო ნიკოლაძის ბადიშიშვილია. სამტრედიელებისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია. რამეთუ დიდი ნიკო ნიკოლაძე მუდამ იყო, არის და ასევე დარჩება გაერთიანებული საქართველოსთვის სასიქადულო და თავმოსაწონებელ დიდ მამულიშვილად და ჩვენი სამტრედიელების თანამემამულედ.

წინსწრებით ვამბობ, რომ ღმერთი, რჯული, ხატი, არაფერი მსჯის არც არავის წინაშე და არც არაფერი მავალდებულებს. მაგრამ, რომ ვუკვირდები, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მმართველ პოლიტიკურ პარტიას აშკარად სასიკეთოდ დაეტყო მისი დამფუძნებელი თავკაცის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის თავის ძველ თანამდებობაზე დაბრუნება, პოლიტიკისკენ შემობრუნება.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით, ფრთებდაჭრილი და ფრთებშეკვეცილი პრეზიდენტის უფლება-მოვალეობიდან გამომდინარე, რომელიც შინ და გარეთ მთავარი „მომლაპარაკებელი“ ნეიტრალური არბიტრის როლს ითვალისწინებს, და არა დამსჯელ-განმსჯელის ფუნქციას, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის არჩევის შემთხვევაში, მისი მხარდამჭერი ხელისუფლების ორივე შტოს, ერთობლივად შემუშავებული სტრატეგიული მნიშვნელობის გეგმა-გადაწყვეტილებების ევროპული დონის „შეფუთვით“ წარდგენა-მიწოდების მხრივ ყველაფერი ევრო-ამერიკული სტანდარტებით გარანტირებული გვექნება. და ამ მხრივ ახლო წარსულის სიმწრის ღიმილის მომგვრელი კინკლაობისაგანაც გავთავისუფლდებით... და ამჟამად მმართველ პოლიტიკურ ძალას მიეცემა ყველა მიმართულებით „სრული სვლით“ მსვლელობის შესაძლებლობა.

ჰოდა, ამ ყველაფერ ნათქვამ-უთქმელიდან და სტრიქონებს შუა თუ შორის ნაგულისხმევი აზრიდან გამომდინარე, მოკლედ მოვჭრი: ხმა მივცეთ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს. ამით მოიგებს საქართველო, ესე იგი, ჩვენ ყველანი!

ისიდორე (მამული) ჯანელიძე,
ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი.

აქაც ზურაბიშვილი ლიდერობს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ინფორმაციით, მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა საპრეზიდენტო კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა და კვალიფიციური პარტიების მიერ წარდგენილმა ხუთმა ძირითადმა კანდიდატმა მთლიანობაში 6 762 283 ლარის ოდენობის შემოსავალი (ყველა წყაროდან) მიიღეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ანგარიშს 2018 წლის 1 აგვისტოდან 15 ოქტომბრის ჩათვლით საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დაფინანსების შესწავლის საფუძველზე აქვეყნებს.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ყველაზე მეტი შემოსავალი – 4 145 207 (61%) ლარი **სალომე ზურაბიშვილმა** მიიღო, შემდეგ მოდის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი **გრიგოლ ვაშაძე** 1 360 023 ლარით, ხოლო მესამე ადგილს იკავებს „ევროპული საქართველოს“ მიერ წარდგენილი კანდიდატი **დავით ბაქრაძე** – 864 046 ლარით.

„მიუხედავად იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილი სახელმწიფო დაფინანსებას არ იღებს, მის მიერ მიღებული შემოსავლები მაინც დაახლოებით სამჯერ აღემატებოდა გრიგოლ ვაშაძის და ერთნახევარჯერ – ხუთივე ოპოზიციური საპრეზიდენტო კანდიდატის ერთად აღებულ შემოსავლებს“, – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში და აღნიშნულია, რომ საბანკო სესხით მხოლოდ სალომე ზურაბიშვილმა ისარგებლა. მან 1 ოქტომბერს „ბანკი ქართუსგან“ 1 მლნ ლარი ისესხა, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი 10%-ს შეადგენს, ხოლო ვადა სამ თვემდეა;

„ექვსმა საპრეზიდენტო კანდიდატმა მთლიანობაში 4 226 120 ლარის ოდენობის შემოწირულება მოიზიდა, საიდანაც 99% ფიზიკური პირების მიერ გაღებული თანხაა. შემოწირულებების უდიდესი ნაწილი 3 105 011 ლარი (73%) **სალომე ზურაბიშვილმა** მიიღო, შემდეგ მოდის **გრიგოლ ვაშაძე** 583 820 ლარით, **დავით ბაქრაძე** – 516 404 ლარით, **დავით უსუფაშვილი** – 13 290 ლარით, **კახა კუკავა** – 6 596 ლარით და **შალვა ნათელაშვილი** – 1 000 ლარით. ამ მონაცემებით ჩანს, რომ ზურაბიშვილის მიერ მიღებული შემოწირულებები დაახლოებით ხუთჯერ აღემატება გრიგოლ ვაშაძის და ორნახევარჯერ – ხუთივე ოპოზიციური კანდიდატის ერთად აღებულ შემოწირულებებს.

პარტიები დიდწილად დამოკიდებული არიან სახელმწიფო დაფინანსებაზე. გამონაკლისი მმართველი და რამდენიმე ოპოზიციური პარტიაა, რომლებიც შემოწირულებებს კი იღებენ, თუმცა ისინი ძირითადად მსხვილ შემომწირველებზე არიან დამოკიდებული, რაც საზოგადოებაში ბევრ კითხვას აჩენს“, – ნათქვამია ანგარიშში.

არჩევნების დღეს რამდენიმე საათში ერთხელ ცესკო ბრიფინგს გამართავს

ცესკო 28 ოქტომბერს, დილის 08:30 საათიდან რამდენიმე საათში ერთხელ, საინფორმაციო ბრიფინგებს გამართავს. ამის შესახებ ინფორმაციას ცენტრალური საარჩევნო კომისია ავრცელებს.

24-საათიან რეჟიმში იმუშავებს როგორც კომისიის სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი (2 51 00 51), ისე ონლაინ ჩათი. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება პასუხის მიღება არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის შესახებ.

პირველად ვირჩევთ პრეზიდენტად ქალბატონს – სალომე ზურაბიშვილს!

(მეორე გვერდიდან)

რაც შეეხება პრეზიდენტობის სხვა, ვითომ რეალურ კანდიდატებს, ისინი ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს და ავადსახსენებელი ნაციონალების განაყოფი ძმები არიან. გამოირჩევიან ცრუ და ტყუილი, არაადეკვატური დაპირებებით, რომელსაც საერთოდ კავშირი არა აქვს პრეზიდენტთან და ასე ფიქრობენ ამომრჩევლთა გულის მოგებას. ეს თვალში ნაცრის შეყრაა და უბრალოდ სირცხვილია. ოპოზიციას და ნაციონალებს კი იგი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მთავარ იარაღად გაუხდიათ. სამწუხაროდ, საქართველოს ტერიტორიის 22 პროცენტი რომ ოკუპირებულია, ამაში ისინი თავიანთ წვლილს ნუთუ ვერ ხედავენ? რა ნამუსით ფიქრობენ პრეზიდენტობაზე?.. საკითხავი აი, სწორედ ეს არის!.. ევროპა, ევროპაო, თუთიყუშებივით გაიძახიან, რად ავიწყდებათ, რომ ქალბატონი სალომე არის ევროპაში დაბადებული და გაზრდილი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწის, საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის ლევან ზურაბიშვილის ოჯახში. მან ზედმიწევნით კარგად იცის მთელი ევროპა და მისი სიკეთეები... სხვები ამას სანამ ისწავლიან, მანამდის, ალბათ, პეტრეს და პავლეს სულიც ამოხდებათ და ტყავსაც გააძრობენ...

საგულისხმოა, რომ ქალბატონი სალომე არის ყოველთვის გულწრფელი და პირუთვნელი, საქართველოს სპეტაკი, დიდი პატრიოტი, რომელმაც სააკაშვილისგან განსხვავებით დათმო საფრანგეთის მოქალაქეობა და საქართველოს მოქალაქეობა მიიღო; სააკაშვილმა კი პირიქით, სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, დათმო იმ მშობლიური ქვეყნის მოქალაქეობა, რომლის პრეზიდენტიც იყო, იმისთვის, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიეღო, მაგრამ საბოლოოდ კოვზი ნაცარში ჩაუარდა... დღეს, არც ერთი ქვეყნის მოქალაქე არაა. „სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!!!“ აი, ვინ არის „თქვენი მამა და მასწავლებელი, ნაცებო!“ მომავალი ქალი პრეზიდენტის ლანძღვა-გინებაში რომ სწავლობთ ლაპარაკს და აბსოლუტურად პატივს არ სცემთ ჩვენს ტრადიციებს... აი, როგორია თქვენი პოლიტიკური კულტურა და კრედო...

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა, დიდი მადლობა მოვახსენო უმრავლესობის წევრებს, რომლებმაც ღირსეულად შეაფასეს პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის პიროვნება და მტრების გულის მოსაკლავად, ვაჟკაცურად გვერდში დაუდგნენ მას.

დაბოლოს, არ შეიძლება, არ გავითვალისწინოთ და პატივი არ ვცეთ ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს. კაცმა ერთხელ თქვა: მე მზად ვარ, ჩემი სიმდიდრის 95% მოვახმარო საქართველოს და ჩემი ხალხის ბედნიერებასო. ოპოზიცია კი თავისი უტაქტობით ამის შესაძლებლობას არ აძლევს მას... სამწუხაროდ, შურიან და ბოროტ ადამიანებს გაცნობიერებული არ აქვთ, რომ „ძლიერთა დასუსტებით სუსტს ვერ გააძლიერებ, მდიდრების განადგურებით სიღარიბეს ვერ დაძლევ; ადამიანებს ვერ მიეხმარები, თუ მათ გასაკეთებელს შენ გააკეთებ“ (აბრაამ ლინკოლნი).

ვფიქრობ, ივანიშვილი და ზურაბიშვილი ის ტანდემია, რომლებიც საქართველოს გააერთიანებენ და კიდეც ააყვავებენ!.. ჩემო ლამაზო ხალხო, არჩევნებზე ჩვენი ისტორიული ვალი და მოვალეობაა, ხმა მივცეთ ღირსეულ საპრეზიდენტო კანდიდატს, დიდ ევროპელ ქართველ ქალს სალომე ზურაბიშვილს!

გულთაზ ლაბარტყავა,
ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე.
ტელ: 599454045; 599474547.

(მეორე გვერდიდან)

ძალიან გაბრაზებული ვარ!

ერთ წელიწადში აბსოლუტურად ახალი ხალხით შევავსებ პარტიას, მენეჯმენტს გავაუმჯობესებ

ერთ წელიწადში აბსოლუტურად ახალი ხალხით შევავსებთ პარტიას, ძლიერი ხალხით გავამაგრებ, მენეჯმენტს გავაუმჯობესებ.

ამით გაქრება უხეში ილუზია იმისა, რომ ვიღაცებს შეუძლიათ სახელმწიფოს სიძლიერეში ეჭვი შეიტანონ და სახელმწიფო იოლად ამოაყირაონ.

ჩემი დაბრუნების აზრი ორად რომ გავყოთ ასე გამოვა: პირველი არის ის, რომ აღარ დარჩეს იმის ცდუნება, რომ სახელწიფოს დაშანტაჟება შეუძლიათ ვიღაცებს, მათ შორის კრიმინალებს, ან ბიზნესმენებს, რომლებსაც ფულის გადახდა არ უნდათ ბიუჯეტში, ან ბიზნესმენებს, რომლებმაც რაღაცა დააშავეს და მერე გარბიან სააკაშვილთან და გვარამიასთან. ჩემი მოსვლის მეორე მიზეზი არის ის, რომ ამ ყველაფერს ძალიან ზუსტი მენეჯმენტი სჭირდება, რომ არ დარჩეს ცდუნება მათ, ვინც კანონის გვერდის ავლით ცდილობენ, სახელმწიფოს ავნონ... ასევე უფრო სწორია ის, რომ უფრო ეფექტური უნდა გახდეს ჩვენი ხელისუფლება, რამეთუ ჩვენ ჩვენი სიღარიბე უნდა დავძლიოთ... განაცხადა ივანიშვილმა.

ძალიან გაბრაზებული ვარ, როგორ იყო ეს კაცი საერთოდ მინისტრი?!

ამ კაცზე მე ვარ ძალიან გაბრაზებული და მაქვს მსგავსი პრეტენზიები, როგორ იყო ეს კაცი საერთოდ მინისტრი?! ჩემ დროს იყო ეგ მინისტრი, – ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა სპორტის ყოფილ მინისტრთან ლევან ყიფიანთან დაკავშირებით განაცხადა.

„უაღრესად გაღიზიანებული და გაბრაზებული ვარ. რას აკეთებს, რას ყვება, ან ინტერვიუში, აბსოლუტურად არ არის შესატყვისობაში სიმართლესთან. ყიფიანს აბსოლუტურად არ ჰქონდა საშუალება, ევლო ჩემთან, ან ფარცხალაძეს ევლო და მაგათი ჩხუბები მერჩია. როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ, რომ რაღაც ბიზნესში ვიღაცები წაეკიდნენ, მორბიან ჩემთან და მე ვარჩევ მაგათ საქმეებს? მე ამის ფუფუნება არ მაქვს. ეს მხოლოდ „რუსთავი-2“- ს სჯერა. როგორ ახსენებს ეს კაცი ჩემს სახელს საერთოდ? მართალია, პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ მინიშნებით შეიძლება ამის ამოცნობა. ყიფიანთან დაკავშირებით ბოლომდე თუ წაიკითხავთ მის ნათქვამს, იკვეთება, რომ ყიფიანი ოქუაშვილის ნაცვლად მივიდა ფარცხალაძესთან, შეამოწმეს, რაიმე ჩამწერი ხომ არ აქვსო, არავითარი გაუპატიურება და სარდაფი არ ყოფილა. ყიფიანმა შეაგინა, რასაც თავადვე ამბობს და ქართველი კაცისთვის შეგინებაზე რეაქცია როგორია იცით. ეს ჩანს ჩანაწერებიდან“, – განაცხადა ივანიშვილმა.

„რუსთავი-2“ ვერ და არ ასრულებს იმ ფუნქციას, რაც მედიას ევალება!

„რუსთავი-2“ ვერ და არ ასრულებს იმ ფუნქციას, რაც მედიას ევალება, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, მედიას აქვს უდიდესი უფლებები და ვალდებულებებიც, რომ მაქსიმალურად აკონტროლოს ხელისუფლება.

„მედიას აქვს უდიდესი უფლებები და ვალდებულებებიც, რომ მაქსიმალურად აკონტროლოს ხელისუფლება, კრიტიკული იყოს ხელისუფლებისადმი და მთავრობის მეთაური იქნება, პარლამენტის თუ პარტიის თავმჯდომარე, აუცილებლად მყისიერი რეაქცია უნდა გააკეთოს, თუ იკვეთება თანამდებობის პირების კორუფცია“.

ის, რომ დღეს „რუსთავი-2“-მა და სატელიტად დაფიქსირებულმა „კავკასიამ“ უარი თქვეს შეხვედრაზე მოსვლით, ამით აჩვენეს, რაც ხდებოდა ნაციონალური მმართველობის დროს, დღეს ასე აღარ ხდება.

მისი თქმით, საქართველოს უახლეს ისტორიაში გვაქვს მაგალითი იმისა, რომ მედია უარს აცხადებს ხელისუფლების წარმომადგენელთან შეხვედრაზე.

მან ყოფილი მთავრობის დროს მედიის მდგომარეობაზე ისაუბრა.

„თქვენ კარგად გახსოვთ, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილისთვის ტელევიზიები დახურული იყო. „კავკასია“ ჰქონდათ მაშინ ფსევდოოპოზიციური და იქ ახერხებდნენ ორთქლის ამოშვებას. „მაესტროს“ ჰქონდა სხვადასხვა ეტაპები და მინდა, რომ მაესტროელებმა კარგად გამიგონ. იყო ეტაპი, როდესაც ისინი გმირულად იბრძოდნენ სიტყვის თავისუფლებისთვის და იყო ის ეტაპიც, როდესაც იმართებოდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ და ეს იყო ძალიან მძიმე პერიოდი. გახსოვთ, რომ ოპოზიციას რეალურად აზრის გამოთქმის შესაძლებლობა არ ჰქონდა. დღეს მოხდა პირიქით, იგივე ხალხმა მოახერხეს და აერიდნენ მმართველი პარტიის თავმჯდომარესთან შეხვედრას“...

* * *

ირაკლი კობახიძემ სწორი სინონიმი მოუძებნა ნიკა გვარამიას, როდესაც მის განცხადებას ფაშისტური უწოდა. მისი თქმით, არც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია არ გამოვიდა და გვარამიას განცხადებასთან დაკავშირებით პოზიცია არ დააფიქსირა.

„სამი დღე დაელოდნენ „ქართული ოცნების“ შტაბიდან, როდესაც გვარამიამ საშინელი განცხადებები და მუქარა გაუგზავნა ქალბატონ სალომეს, რომ ვინც მაგას დაეხმარება, საქართველოში არ დაედგომებაო. ამას კობახიძემ უპასუხა, რომ ეს იყო ფაშისტური გამონათქვამი. მან სწორი სინონიმი მოუძებნა გვარამიას გამონათქვამს. მე ვუთხარი ირაკლის, რომ არ უნდა ეხმარა ეს სიტყვა, რადგან ისინი სიტყვას გაეკიდებოდნენ და არა შინაარსს და ასეც მოხდა. გვარამიას გამონათქვამი ფაშისტური იყო. არც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია არ გამოვიდა და გვარამიას განცხადებასთან დაკავშირებით პოზიცია არ დააფიქსირა. პირიქით, ერთ-ერთმა მათგანმა მიხეილ ბენიძემ თქვა, გვარამია სწორად მოიქცაო“... – განაცხადა ივანიშვილმა.

გიწვევთ ევრაზიის ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო დეგუსტაცია-კონკურსზე „საქართველო - ღვინის სამშობლო“

მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 7-9 ნოემბერს ქ. თბილისში **საქართველოს ენოლოგთა კავშირის ინიციატივითა და ორგანიზებით,** თანაორგანიზატორი – მთავარი სპონსორი სადეგუსტაციო ღვინის მაღაზია "რეზერვი" **(დ. ტატულაშვილი).** მხარდამჭერები – საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ასოციაცია ქართული ღვინო, სამედიცინო ველნეს კურორტი "ბიოლი", ტელეკომპანია „საფერავი" – პირველად ტარდება ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების – ევრაზიის ქვეყნების საერთაშორისო დეგუსტაცია-კონკურსი „EURASIA WINE & SPIRITS COMPETITION 20184 in TBILISI"-GEORGIA- HOMELAND OF WINE, რომელიც ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის OIV-ის პატრონაჟით ტარდება და ფართოდ გაშუქდება საერთაშორისო და ადგილობრივი პრესით, ტელევიზიებით, გადაიღება დოკუმენტური ფილმი.

კონკურსის მიზანია ევრაზიის ქვეყნების, პირველ რიგში, საქართველოს მეღვინეობის პროდუქციის ხარისხობრივი პოტენციალის წარმოჩენა და მათი მხარდაჭერა მსოფლიოს ბაზრებზე. კონკურსში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს მსოფლიოში აღიარებულმა დეგუსტატორებმა და სომელიემ, მათ შორის OIV-ის გენდირექტორმა ჟანმარი ორანმა. ასევე მოწვეულები არიან ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების თემაზე მწერალი ჟურნალისტები, როგორც ევროპის, ასევე აზიის ქვეყნებიდან. კონკურსის შედეგები გადაეგზავნება ამერიკულ ჟურნალ „Wine Spectator"-ს, რომელიც ყოველწლიურად მსოფლიოს 100 საუკეთესო ღვინოსა და ალკოჰოლიან სასმელს ასახელებს.

კონკურსზე დაშვებულია ღვინოებისა და ალკოჰოლიანი სასმელების შემდეგი ხუთი კატეგორია:

- **თეთრი წყნარი ღვინოები, ქვევრის ღვინოები;**
- **ვარდისფერი და წითელი წყნარი ღვინოები;**
- **თეთრი, ვარდისფერი და წითელი შუშხუნა ღვინოები;**
- **შემაგრებული, სადესერტო და არომატიზირებული ღვინოები;**
- **ალკოჰოლიანი სასმელები: ბრენდი, კონიაკი, არაყი, ბალზამი, ლიქიორი.**

გთხოვთ, საქართველოს წარმატებულმა საწარმოებმა, მარნებმა დროულად წარადგინეთ თქვენი ნიმუშები აღნიშნულ კონკურსზე, თქვენი პროდუქციის ეფექტური რეკლამისათვის.

ნიმუშების მიღების ბოლო ვადაა 3 ნოემბერი.

კონკურსში მონაწილეობის ღირებულების მიმღები ბანკი „საქართველოს ბანკი". მიმღები – საქართველოს ენოლოგთა კავშირი(სეკ). ანგარიშის ნომერი GE80BG0000000825866100

ნიმუშების მიმღები(ოთხ-ოთხი ბოთლი): საქართველოს ენოლოგთა კავშირი, ღვინის სადეგუსტაციო მაღაზია „რეზერვი." თბილისი, 0108, 9 აპრილის ქ. №3,მიმღები: ენოლოგთა კავშირის წევრები – უჩა ტუღუში, შავლეგ ტუღუში, ნიკოლოზ აღდგომელაშვილი.

კონკურსის პირობების გაცნობის და ყოველგვარი შეკითხვის შემთხვევაში მოგვმართეთ:

კონკურსის თავჯდომარეს მურმან ქურიძეს – 599 93 40 40, მენეჯერს – დიანა გრიგორიანს –557 24 2220.

მურმან ქურიძე,
საქართველოს ენოლოგთა კავშირის თავჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი

ჯონ ბოლტონი პრემიერს შეხვდა

არჩევნებამდე ორი დღით ადრე თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველი ჯონ ბოლტონი ჩამოვიდა. მან უკვე გამართა რამდენიმე შეხვედრა.

ჯონ ბოლტონს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი შეხვდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ ზალკალიანმა აღნიშნა, რომ ჯონ ბოლტონთან ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ისაუბრა.

„ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო, ძალიან შინაარსიანი საუბარი საქართველო-ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობის ყველა ძირითად მიმართულებაზე, შევეხეთ ყველა თემას, რომელიც აქტუალურია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც გახლავთ უსაფრთხოების თვალსაზრისით ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი სიტუაცია იყო ჩვენი საუბრის ერთ-ერთი მთავარი საკითხი. ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან ძალიან მკაფიო და სერიოზული მხარდაჭერა. ჩვენ გვაქვს მხარდაჭერა ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებითაც აშშ-ის, რომელიც ნატოში ერთ-ერთი მთავარი მონაწილე გახლავთ,“ — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

„საქართველო-აშშ-ის ურთიერთობა არასოდეს ყოფილა ასეთი მაღალი დონის და ყოვლისმომცველი“

— **ამის** შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველთან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ჯონ ბოლტონთან შეხვედრისას განხილული იყო ყველა საკითხი, რომელზე საუბარიც ვაშინგტონში მისი ვიზიტისას დაიწყო.

„შევეხეთ საქართველოსთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს, როგორიცაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ჰუმანიტარული კატასტროფა და ის სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც ამ გამოწვევების დაძლევაში დაგვეხმარება. ამასთან ერთად, ვისაუბრეთ შესაძლო თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის შემოღებაზე საქართველოსა და აშშ-ს შორის, რომელიც ორმხრივ ურთიერთობას პრინციპულად ახალ ეტაპზე გადაიყვანს. ვისაუბრეთ რეგიონულ კონტექსტსა და უსაფრთხოების არქიტექტურაზე, რომელიც უნდა იყოს საქართველოში, რათა ჩვენ ღირსეულად გავუმკლავდეთ იმ გამოწვევებს, რომელიც საქართველოს წინაშე დგას. ჯონ ბოლტონი არის საქართველოს ერთგული მეგობარი. მას აქვს კონკრეტული ხედვა, როგორ შეიძლება გავხადოთ ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად სტრატეგიული, კიდევ უფრო კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული და მინდა, მას მადლობა გადავუხადო ამ ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ ჯონ ბოლტონთან შეხვედრის შემდეგ.

რეფორმებისთვის მადლობას გვიხდიან

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანი ჯეიმს მატისი საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს თავდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმებისა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კაპიტალდაბანდებების მიმართ ნაკისრი ვალდებულებისთვის მადლობას უხდის.

„თავდაცვის სამინისტროსადმი თქვენი მხარდაჭერა უზრუნველყოფს თავდაცვაზე საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის წილობრივად 2%-ის ხარჯვას და თავდაცვის ხარჯების 20%-ის მიმართვას ძირითადი შეიარაღების შესყიდვებზე, რაც სრულად შეესაბამება ნატოს სტანდარტებს. თავდაცვის რეფორმისა და ხარჯვის პრიორიტეტიზაცია ნათლად წარმოაჩენს მინისტრ იზორიას ძალისხმევას საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნისა და მოდერნიზაციის საქმეში. პარალელურად, მან 15 პროცენტით შეამცირა საკადრო ხარჯი, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს შესაძლებლობებში ინვესტირების მდგრადობის უზრუნველსაყოფად. მსურს, გამოვხატო ღრმა მადლიერება ავღანეთში ნატოს ეგიდით წარმოებულ მისიებში საქართველოს მტკიცე მხარდაჭერისთვის. როგორც ნატოს მინისტერიალზე განვაცხადე, საქართველომ უდიდესი მსხვერპლი გაიღო, რადგან იბრძვის ნატოსა და ავღანური ძალების მხარდამხარ ავღანეთის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო პროვინციებში. ჩვენი ალიანსი დამოკიდებულია მამაც და გამძლე პარტნიორებზე, რომლებსაც სურთ, ზიარად იკისრონ უსაფრთხოების ინტერესების ტვირთი და მთელი მსოფლიოს სტაბილურობა უზრუნველყონ. საქართველომ დაამტკიცა, რომ არის ნატოს ყველაზე მტკიცე პარტნიორი.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას თქვენი ხელმძღვანელობისა და ნაკისრი ვალდებულებისთვის. ვრჩები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებაზე ნაკისრი ვალდებულების ერთგული“, — აღნიშნულია ჯეიმს მატისის წერილში.

ამ საუბარმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, „ნაციონალური მოძრაობის“ სახით რა ხალხთან გვაქვს საქმე

ამ **საუბარმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, რა ხალხთან გვაქვს საქმე, როგორ არის მოწყობილი მათი აზროვნება, რა გეგმები აქვთ მათ საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით და როგორია მათი დამოკიდებულება საქართველოს და ქართველი ხალხის მიმართ,** — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ უკრაინულ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით განაცხადა, სადაც სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილი და მისი ბიძია თემურ ალასანია ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციაზე საუბრობენ. მისი თქმით, როდესაც ასეთი ზიზღით მოიხსენიებს ყოფილი პრეზიდენტი ქვეყანასა და ქართველ ხალხს, ყველასთვის ყველაფერი ნათელია.

„მინდა ასევე, გამოვეხმაურო გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებს, რომელიც მიხეილ სააკაშვილისა და მისი ბიძის თემურ ალასანიას საუბარს ასახავს. ზოგადად, სამწუხაროა, რომ ეს საარჩევნო კამპანია არსებითად არა საპრეზიდენტო კანდიდატების სამომავლო ხედვების წარდგენის რეჟიმში, არამედ ფარული ჩანაწერების ფონზე წარიმართება.

ამ საუბარმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, რა ხალხთან გვაქვს საქმე, როგორ არის მოწყობილი მათი აზროვნება, რა გეგმები აქვთ მათ საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით და როგორია მათი დამოკიდებულება საქართველოს და ქართველი ხალხის მიმართ.

როდესაც ასეთი ზიზღით მოიხსენიებს ყოფილი პრეზიდენტი ჩვენს ქვეყანას და ქართველ ხალხს, ვფიქრობ, ყველასთვის ყველაფერი ნათელია. ამ ჩანაწერის მოსმენისას, ჩვენ კიდევ ერთხელ მივიღეთ პასუხი კითხვაზე, თუ რა იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულების მთავარი მიზეზი: ისე რომ მოექცე საკუთარ ქვეყანას და ხალხს, როგორც სააკაშვილის რეჟიმი ექცეოდა, ეს ქვეყანა და ხალხი აუცილებლად უნდა გძულდეს.

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს „ნაციონალური მოძრაობა“ ცნობს თუ არა ამ ჩანაწერის ავთენტურობას, მისი უტყუარობის მთავარი მტკიცებულება სააკაშვილის 9-წლიანი მმართველობა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულებია.

ჩვენ არავის, და მით უმეტეს „ნაციონალურ მოძრაობას“, არ მივცემთ იმის საშუალებას, რომ თუნდაც მინიმალურ დონეზე შეიტანონ არეულობა და დესტრუქცია პოლიტიკურ პროცესებში. ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ ასეთი აზროვნების მქონე ადამიანებმა თუნდაც მცირე დოზით მოახერხონ რეანიმაცია ჩვენს პოლიტიკურ სისტემაში. ამაზე არის პასუხისმგებელი „ქართული ოცნება“ ქართველი საზოგადოების წინაშე.

მეორე საკითხი, რომელსაც გვინდა გამოვეხმაუროთ, არის მიხეილ სააკაშვილის განცხადება ავღანეთში, ჩვენს სამხედრო ბაზაზე ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით. სააკაშვილმა ყველაზე მდარე ფორმით სცადა საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და განაცხადა, რომ თითქოს, აღნიშნულ ბაზაზე დიდი უპირატესობით გაიმარჯვა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა, მაშინ, როდესაც საარჩევნო ყუთები ავღანეთში მხოლოდ 28 ოქტომბერს გაიხსნება. ამასთან, სააკაშვილმა სოციალურ ქსელში განათავსა საარჩევნო ბიულეტენის ფოტოსურათი, რაც საარჩევნო ნორმების უხეში დარღვევაა.

იმ ადამიანების სახელით მანიპულირება, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავენ ჩვენი სამშობლოს ღირსებას მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილში, არის ყველაზე დიდი სიმდაბლე, რასაც პოლიტიკოსმა შეიძლება მიმართოს, თუმცა, სააკაშვილისგან ჩვენ ამაზე დიდი სიმდაბლეც არაერთი გვახსოვს და შესაბამისად, მისგან არაფერი უნდა გაგვიკვირდეს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საამაყო სამხედროები გასცემენ საკადრის პასუხს სააკაშვილის ამ სიმდაბლეს 28 ოქტომბერს“, — განაცხადა კალაძემ.

არაკაცმა საშვილიშვილო ცოდვა ჩაიდინა!

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე კახაბერ საბანაძემ 9 წლის ბავშვის მკვლელობის ცხელ კვალზე გახსნის შესახებ სპეციალური განცხადება გააკეთა.

„პირველ რიგში ვუსამძიმრებ კიდევ ერთხელ გარდაცვლილის ოჯახს. ეს მძიმე ტრაგედიაა სრულიად საქართველოსთვის. მინდა, გითხრათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში შექმნილი სპეციალური საგამოძიებო ჯგუფის და შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა დანაშაულის ჩამდენი პირი - ინიციალებით ი.ნ. (იაგო ნებიერიძე) გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო, კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ასევე იმ მარშრუტის დადგენის საფუძველზე, საიდანაც სისტემატურად გადაადგილდებოდა გარდაცვლილი ბავშვი, ჩვენს მიერ დეტალურად შესწავლილ იქნა თითოეული ბინა, სადაც აღმოჩნდა სისხლის კვალი, რაზეც დაინიშნა შესაბამისი ექსპერტიზა. გრძელდება გამოძიება ინტენსიურ რეჟიმში. დაველოდოთ შედეგებს. აქვე მინდა პირად შემადგენლობას გადავუხადო მადლობა იმისთვის, რომ ეფექტიანი მუშაობის შედეგად კონკრეტული შედეგი დაიდო“, — განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახაბერ საბანაძემ.

დაკოდვაც მცირე სასჯელია...

25 ოქტომბერს **გორში** **დატრიალებულმა ტრაგედიამ, როცა არაკაცის მსხვერპლი მცირეწლოვანი გოგონა გახდა, არა მარტო ერთიანად ქართლი, სრულიად საქართველო შეძრა. ეჭვმიტანილი უკვე დაკავებულია. გამოძიება და სასამართლო თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის, მაგრამ ხალხს არანაკლებად აინტერესებს ჩვენს ქვეყანაში პედოფილების მიმართ მართლმსაჯულების დამოკიდებულება.**

საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მათ სხვადასხვანაირად სჯიან, მაგალითად, ყაზახეთში, გარდა დიდი ვადით თავისუფლების აღკვეთისა, პედოფილს ქიმიურ დაკოდვასაც უპირებენ.

ეს ამბავი ყაზახეთის თურქესტანის ოლქში მოხდება. ბავშვის უფლებათა კანონმდებლობაში შესაბამისი შესწორებები ყაზახეთის კონსტიტუციაში 2018 წელს შევიდა ძალაში. კანონის მიხედვით, ისინი ავალდებულებენ დამნაშავეებს მიიღონ სათანადო პრეპარატები, რომლებიც სქესობრივ ლტოლვას კლავს. თითოეული პაციენტის კასტრირება 350 დოლარი ჯდება. სხვათა შორის, დასჯის ამ ზომას უკვე კარგა ხანია, მიმართავენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ისრაელში.

ჩვენში მსგავსი საგანგებო სასჯელი, უკაცრავად და, იმ პირუტყვთა მიმართ, ვინც არასრულწლოვანის მიმართ სექსუალურ ძალადობაშია მსჯავრდებული, ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის. რათა პედოფილებისთვის შესაბამისი სასჯელი იქნას გათვალისწინებული, საამისოდ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში სათანადო ცვლილებებია შესატანი.

რას ველოდებით, ნეტავ?!

პედოფილებს კასტრაცია არ ასცდებათ!

საქველმოქმედო ფონდის დამაარსებელმა, ბიზნესმენმა ლეონიდ ჩერნოვეცკიმ საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს პედოფილებისთვის ქიმიური კასტრაციის შემოღების თაობაზე. ამის შესახებ იგი წერს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

„გუშინ მე საქართველოს პარლამენტს წარვუდგინე კანონპროექტი პედოფილების ქიმიური კასტრაციის — თანამედროვე საზოგადოების საშინელი პრობლემის შესახებ! როგორც საქართველოს მოქალაქეს, მსურს, რომ ხელი შევუწყო კანონმდებლობის გამკაცრებას ამ საშინელი დანაშაულის შესახებ.

მე მჯერა, რომ ღმერთი დაგვეხმარება და შევძლებთ ამ ინიციატივით ასობით და ათასობით უბედური ბავშვის სიცოცხლე და მომავალი გადავარჩინოთ!“.

მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ

პრეზიდენტის საპარძელი – ღირსეულ ქალბატონს!

არ მინდოდა, გავკარებოდი იმ ჭუჭყიან პიარ-კამპანიას, რასაც საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები ჰქვია, მაგრამ იქ ნასროლი ტალახი და ქვა-ღორღი სიძულვილისა, თანაბრად სვრის ერსაც, ქვეყანასაც და თითოეულ ჩვენგანსაც. კიდევ უფრო მეტად მაღონებს ჩვენი საზოგადოების შემეცნებითი გულუბრყვილობა, როცა აშკარა სიცრუეს, ცილისწამებას და პრიმიტიულ მსჯელობას ყურადღებას უთმობენ, ნდობით ეკიდებიან.

დიდი უსამართლობის მოწმენი ვართ. ყოველი შეთითხნილი ბრალდება, ცრუ ანალიზი უღირსი ინსინუაციებით სავსე, ისეთი თეთრი ძაფით არის ნაკერი, ისე აშკარად, რომ საღად მოაზროვნე ადამიანები ფიქრობენ: ამას ვინ დაიჯერებს, მაგრამ მწარედ ცდებიან: კიდევაც სჯერათ, მოწონთ, ეთანხმებიან და ადამიანის – პიროვნების დამამცირებელ აღვირახსნილ ნიაღვარს თვითონაც უერთდებიან. ეს ნიაღვარი ქართული პოლიტიკური სივრცის საერთო უბედურებაა, რომელიც ძირითადად მიმართულია სალომე ზურაბიშვილის განსაქიქებლად.

მთელ ამ საარჩევნო, გულისამრევ დემაგოგიაში საოცარი ის არის, რომ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ გაერთიანდნენ ყველანი, ნაციონალებიც, ანტინაციონალებიც, ოცნების მომხრეებიც, შედარებით მორცხვად „ოცნების“ უმრავლესობის წარმომადგენლებიც და საერთოდ ვისაც არ დაეზარა ქვის სროლა.

ისე გაერთიანდნენ ერთ სავალალო კომპანიაში სალომე ზურაბიშვილის ჩასაქოლად, სრულიად სხვადასხვა ბუნების, მიზანდასახულობის, გემოვნების, ზნეობის ადამიანები, რაც გარეგნულად შეუთავსებელია ლოგიკასთან.

ერთ-ერთ ბატონს, ყოფილ პარლამენტარს დავით ზურაბიშვილს ქ-ნი სალომეს დანაშაულის ე.ი. – საქართველოს მტრობის დამამტკიცებელ საბუთად, 2008 წ. აგვისტოს ომის დაწყების შეფასება მოყავს და გერმანიის კანცლერის ადენაუერის პოლიტიკურ განცხადებას ადარებს. ბ-ნი დავითი აცხადებს, რომ „გერმანიის კანცლერმა იმით კი არ დაიზღვია თავი, რომ ომი ჰიტლერმა დაიწყო და მე ანტიფაშისტი, უბრალო ადამიანი ვარ და, დანაშაული არ მიმიძღვისო, არამედ გულწრფელად მოინანია და ბოდიში მოიხადა კაცობრიობის წინაშეო“. მივმართავ ბ-ნ დავითს და მსგავსთ: თქვე დალოცვილებო, ობიექტურობაზე და ინტელექტუალობაზე თავი რომ მოგაქვთ, განა ადენაუერის ხსენებული ბოდიში, – საკუთარი ღირსების და პატივის მაუწყებელი, ხოლო სამშობლოსათვის ისევ ღირსების გზის გამკვალავი, იმ კატასტროფულ ვითარებაში იმით არაა სამაგალითო, რომ მწარე სიმართლე არ დამალა და ვაჟკაცურად აღიარა? ამ სიმართლით გაწმენდილმა გერმანელმა ერმა ხომ თავის სიდიადე დაიბრუნა.

სხვა რა თქვა ქ-მა სალომემ, გარდა იმისა, რომ მასირებული ცეცხლი სააკაშვილის ბრძანების შემდეგ საქართველოს სახელმწიფომ განახორციელა, განა სააკაშვილმა თვითონვე არ მოაწერა ხელი ამ ფაქტის შემფასებელ ე.წ. ტალიავინის კომისიის მიერ შედგენილ დასკვნას, რომელიც მთლიანად საქართველოს ხელისუფლებამაც აღიარა? განა სააკაშვილის ამერიკელი მაღალჩინოსანი მფარველები იგივეს არ იმეორებდნენ?

მაშ, რაღას ედავებით ქ-ნ სალომეს?

როგორც ვიცით, ჩვენი ქვეყანა ყოველთვის ცდილობდა აფხაზურ-ოსური პრობლემის მოგვარებას საერთაშორისო ძალების ჩართვით, რაც საერთაშორისო სამართლის გამოყენების საფუძველზე დიდ უპირატესობას მოგვანიჭებდა. სწორედ ეს საოცნებო მე-6 პუნქტი, სარკოზის მიერ ჩამოტანილი ხელშეკრულებისა, რომელიც პრობლემის მოსაგვარებლად საერთაშორისო ძალების ჩართვას გულისხმობდა, უარყო საქართველოს ხელსიუფლებამ, რასაც ოსეთის და აფხაზეთის აღიარება მოჰყვა რუსეთის მხრიდან. განა ამაზე მეტი მტკიცებულება შეიძლება არსებობდეს აქ გამოთქმული ეჭვების გასაზიარებლად? არ არსებობს ისეთი არგუმენტი ამ ეჭვებს რომ გაანეიტრალებს, თუ სხვა ახალი მოტივი არ გამოჩნდება.

პრეზიდენტობის კანდიდატ სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ არსებული რეაქცია სრულიად აშკარად ატარებს არა მარტო ქსენოფობიურ ხასიათს, დემოკრატიული სივრცისათვის სრულიად მიუღებელი ლანძღვის, დამცირების, შანტაჟის შემადგენელ ელემენტებს, არამედ დისკრიმინაციულ ხასიათს, რადგან მის მიმართ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმდინარეობს აღვირახსნილი კამპანია და ამდენად სხვა კანდიდატებთან შედარებით იგი იმყოფება დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. სწორედ ამიტომ ვთხოვ და მოვუწოდებ ანტიდისკრიმინაციული კანონის ლობისტებს, ადამიანის უფლების დამცველ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი სახალხო დამცველს, ყურადღება მიაქციონ, როგორც იტყვიან, სიძულვილის ამ გამონაყარს, რომელიც ერთიანად იტევს, ბოლშევიკური, ფაშისტური და დისკრიმინაციული ხასიათის მეთოდებს, არგუმენტებს და ბრბოზე გათვლილ დემაგოგიას, გამდიდრებულს კეთილგონიერების გამომრიცხავი ჟურნალისტური მუხანათობის მაგალითებით.

სააკაშვილის რეჟიმის უმაღლესი თანამდებობის პირების: – ნულოვანი ტოლერანტობის, მასობრივ სახელმწიფოებრივი რეპრესიების, რეკეტის და ტოტალიტარული ლიბერტანიანული იდეალების ერთგული საპრეზიდენტო კანდიდატების დავით ბაქრაძის და გრიგოლ ვაშაძის მომხრეებს მოკრძალებით ვთხოვ, დაფიქრდნენ წუთით მაინც გუშინდელ სასტიკ რეალობაზე, იმ რეჟიმზე, რომელსაც ადამიანის ღირსების შელახვისა და განადგურების სისტემის შექმნის სახით ანალოგი არ მოეპოვება კაცობრიობის ისტორიაში.

ამ უძრაობის პირდაპირი მესვეურნი არიან დღევანდელობის აქტიური შემფასებელნი, მაგრამ მათ წინ კი არ მიჰყავთ ქვეყანა, არამედ ყავლგასული უზნეო მეთოდებით უკან ექაჩებიან და უძრაობაში ამყოფებენ საზოგადოებას. ისინი ფორმალურად პოლიტიკური კულტურის გამზიარებელნი არიან, მაგრამ პირადად შეურაცხყოფენ ქ-ნ სალომეს, პირდაპირ ეხებიან მის ქალურ ღირსებას.

ქალბატონო ფემინისტებო! თუ ოდნავ მაინც გაგაჩნიათ თქვენ მიერ აღიარებული პრინციპების პატივისცემა, ახლა მაინც, ამ მოწოდების შემდეგ დადექით ღირსების გვერდით, თანადგომა გამოუცხადეთ ღირსებაშელახულ ქალბატონს და გააპროტესტეთ მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული პოლიტიკა. თუ ამას არ იზამთ, თქვენი ფემინისტური განცხადებები საზოგადოების თვალში სიყალბისა და ანგარების სამაგალითო ნიმუშად დარჩება.

პრეზიდენტობის კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც აღზრდილია საფრანგეთში დიდებული პიროვნებების, მგზნებარე ქართველი პატრიოტების ოჯახში და გარემოცვაში, ევროპული დემოკრატიული ფასეულობების მქონე პიროვნებაა და იგი ნაყოფიერად ითანამშრომლებს ყველასთან, ზნეობრივი და სამართლებრივი საქართველოს მშენებლობაში.

სალომე ზურაბიშვილი შვილებთან – ქეთევანთან და ზურაბთან ერთად

ეს ჩანს მის საარჩევნო საქმიანობიდან, განსხვავებით ძირითადი ოპონენტებისა, რომელთა მიერ გამოყენებულია ძალიან უღირსი მეთოდები, აშკარად ცრუ დაპირებები, სიცრუით და ცილისწამებით გაჯერებული დაუსაბუთებელი ბრალდებები, პიროვნების შეურაცხყოფა, რაც ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. ყოველივე ამას ემატება შანტაჟი და სიტყვიერი ტერორი, რითაც აშინებენ ყველას, ვინც ხმას მისცემს სალომე ზურაბიშვილს.

ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფი პრეზიდენტის საქმიანობა ეფექტიანი ვერ იქნება, ხოლო პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიმართ არსებული კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საშუალებას მისცემს მას. შეუზღუდავად წარმოაჩინოს თავისი წინადადებები, ქვეყნისათვის წარმატების მომტანი იდეები, პროგრამები და მისეულ ახალ ხედვებს ლობირება გაუწიოს. სწორედ ის, რომ იგი უმრავლესობის წევრი არაა უზრუნველყოფს თავისუფლად იმოქმედოს. ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა, „ქართულ ოცნებას“ არ წარედგინა თავისი კანდიდატი, ოქროს კვეთის გამაკეთილშობილებელ გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს.

ვფიქრობ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის არის სეპარატისტული რეგიონების პრობლემის მოგვარება, რაც რუსეთთან დიალოგის დაწყების გარეშე გამორიცხულია. თუ ქალბატონი სალომე ამ დიალოგის მომხრეა, რისი მომხრენიც არიან ევროპელი მეგობრები, ეს ხარვეზი კი არ ყოფილა, არამედ რაციონალური აზროვნების ნიშანი და მის გონიერებაზე მეტყველებს, რაც უდიდეს სარგებლობას მოგვიტანს.

ვინც ნატოში გაერთიანებით გვპირდება საქართველოს პრობლემის მოგვარებას, ის აშკარად ცრუობს, რასაც თვით „ნატო“-ს წესდება ადასტურებს. პირიქით, საკმარისია, საქართველო ნატოში შევიდეს პრობლემის მოგვარებამდე და იმ დღიდან ახალი რეალობის წინაშე დავდგებით, რის შემდეგაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მრავალი ათეული წელი, შეიძლება სამუდამოდაც გადაიდოს.

სეპარატისტულ რეგიონებთან ერთად ყველაზე საჭირბოროტო პრობლემა, რაც ქვეყანას ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე ატარებს, ეკონომიკური მიზეზით გამოწვეული მასობრივი დეპორტაციაა, რომელსაც ადეკვატურად აღიქვამს ქალბატონი სალომე. მან უკვე იქონია კეთილი გავლენა ორმაგი მოქალაქეობის კანონის ლობირებით და შემდგომშიც ნაყოფიერად ითანამშრომლებს ხელისუფლებასთან თანამემამულეების საქართველოში დასაბრუნებლად. ამის გარანტია ქალბატონი სალომეს სახელმწიფოებრივი აზროვნება, ემიგრაციაში გადატანილი ტანჯვა-წამება და იქ მიღებული გამოცდილებაა.

ქალბატონი სალომეს ერთ-ერთი შესანიშნავი დაპირება წინასაარჩევნო კამპანიაში არის ხალხისა და ხელისუფლების დაახლოება, მათი გაერთიანება ერთი საერთო იდეით, სამართლიანობით, სამართლით და სამშობლოს სიყვარულით, ხოლო საკუთარ თავს შუამავლის ფუნქცია დააკისრა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქალბატონ სალომეს ქვეყნის სამსახურის ასეთი ამაღლებული გაგებაც დაუწუნეს და ამპარტავნებად ჩაუთვალეს. არადა, ჩატეხილი ხიდის პრობლემა კვლავ უმწვავესად დგას ქვეყნის წინაშე და მისი აღდგენის გარეშე ჩვენი სამშობლოს მომავალი აღორძინება გამორიცხულია.

ვერც ერთი პიროვნება, ვერც პირთა ჯგუფი, ვერც პოლიტიკური პარტია ვერ გამოიყვანს ჩვენ ქვეყანას არსებული კრიზისული მდგომარეობიდან, რაც ზოგადი ეროვნული კრიზისის მაჩვენებელია. მხოლოდ იმ შემთხვევაში დავძლევთ 30-წლიანი განუწყვეტელი დეგრადაციის დამღუპველ პროცესს, თუ საზოგადოებრივი ცნობიერება ერთი გამაერთიანებელი იდეით შეიკვრება, რასაც სიყვარულით სიძულვილის დამთრგუნველი სათნოება, ზნეობრიობისა და სამართალის განუყოფელი მორჩილება ქვია.

მაგრამ ესეც ვერ მოგვიტანს საბოლოო წარმატებას, თუ განახლებას მონატრებულმა ჩვენმა ქვეყანამ, თვით დიადმა ქართველმა ხალხმა, მისმა სულიერმა ფენამ არ გაუღო თავისი ცხელი და პატიოსანი გულის კარი იმ ეპოქალურ გამოწვევას, რომლის წინაშე, უფსკრულის პირას ვდგავართ.

ქვეყნის განახლების და აღორძინების პერსპექტივა, თუ ქართველი კაცის ხასიათს, მის შინაგან ბუნებას გავითვალისწინებთ, მხოლოდ სულიერი განახლებით არის შესაძლებელი და არა ეკონომიკურით.

მხოლოდ ქართული სულიერი ფენის გააქტიურება მოგვიტანს ხელშესახებ შედეგს, თუ იგი დაძლევს თვითიზოლაციის, ინიციატივის შიშის, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის დევალვაციის, ზოგადად, სიმბოლურად თეიმურაზ ხევისთავის სამარცხვინო, მომაკვდინებელ სინდრომს;

მხოლოდ სულიერი ფენის ჩართულობითაა შესაძლებელი, აღკვეთოს ქართული პოლიტიკური სპექტრის უმწიფარობის, პროვინციალიზმისა და ანგარების დამღუპველი მსვლელობა, ღრეობა. თუ სულიერი ფენა ახლა მაინც, 30 წლის მანძილზე ერთხელ მაინც გაბედავს, ხელში აიღოს სადავეები, რომ თავის სიმაღლიდან და სიმართლიდან გამოაფხიზლოს სამშობლოს მიძინებული სულისკვეთება, ჩვენ გადავრჩებით.

ქალბატონი სალომე ამ სულიერი ფენის წარმომადგენელია და მისი პრეზიდენტად არჩევა იქნება პირველი მერცხალი გამყინვარებაში მყოფი სულიერი გაზაფხულისა.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ყველა კეთილ საქმეში. ამინ!

დღეს საქართველოში ნაციონალთა პროპაგანდის აღორძინების ფონზე, რომელიც დამთრგუნველად მოქმედებს საზოგადოებაზე, ქალბატონი სალომეს პოლიტიკური ჩვევები კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენს როგორც ზოგადად ადამიანებს შორის ურთიერთობაზე, ისე ქართული პოლიტიკური ატმოსფეროს გაჯანსაღებაზე და ნოყიერ ნიადაგს შექმნის წინსვლისათვის, რაც ოპონენტების გამარჯვების შემთხვევაში გამორიცხულია.

დღევანდელი არასტაბილური მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ სამართლიანობის აღდგენით და დამნაშავეთა დასჯით არის შესაძლებელი. თუმცა შურისძიებით დევნა, მიუღებლობა თანამოქალაქისა. ეს ხომ დიდი უგუნურობაა, სიბრმავე გონებისა და თუ ოდნავი რაიმე გამართლება ქონდა კოჰაბიტაციას, სწორედ ეს არის. გაერთიანება სიბრაზით, მრისხანებით, მაშინ როცა სიყვარულია ქართული ხასიათი, განა ამ ხასიათის ღალატი არაა? სწორედ ამ სიყვარულის ორბიტაში უნდა მოვექცეთ ყველანი, ეს უნდა იყოს ჩვენი მიზანი. თუ ამ სიყვარულისგან შეგნებულად ილტვიან და სიყვარულს განირიდებენ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში უარვყოთ სალომეც, ბიძინაც და საკუთარი თავიც. ქართველი კაცი სიყვარულის ორბიტის გარეთ თავის თავს კარგავს, იმიტომ რომ თავისი სადაგი ნიადაგიდან გამოდევნილია. ამ მოსაზრებას იზიარებს ყველა, ამ პრინციპის მატარებელია ქართველი ხალხი ცხადში თუ ქვეცნობიერში. თუ ვინმე აღმოჩნდება ნორმიდან გამოსული, გამონაკლისი, ფორმალურად მაინც დაემორჩილება, ეთიკურად სხვა განწყობა მიუღებელია. მიუღებელია და დიდი ზიანის მომტანია პოლიტიკურად, პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ხოლო რელიგიურად სხვანაირად ფიქრიც კი ცოდვაა და უფლის გმობა.

მაშ გავამარჯვებინოთ სიყვარულით დაბრუნებულ ქალბატონს თავის საყვარელ სამშობლოში და ჩვენც გავიმარჯვოთ!

ზურაბ მამალაძე.
ტ. 574 777 287

პუტინი „ერის ლიდერობისთვის“ ემზადება!!!

რუსეთის მოქმედი პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი მისი რიგით მეოთხე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ შესაძლოა, ახალ — არაარჩევით, სამუდამო თანამდებობაზე — „ერის ლიდერად“ ვიხილოთ.

რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს უცვლელ თავმჯდომარეს ვალერი ზორკინს, რომელსაც ეს უწყება უკვე 17 წელია (თითქმის იმდენივე, რამდენიც პუტინს — ქვეყანა), აბარია, კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების პროექტი უკვე მზად აქვს.

პუტინის „ერის ლიდერად“ ხილვის პერსპექტივამ, რომელმაც ჯერ დახურულ სოციალურ ჯგუფებში გაიჟღერა, ხოლო ზორკინის მიერ გასაჯაროებულ პროექტში ირიბი სახით არის ჩადებული, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

პუტინის საკონსტიტუციო პერსპექტივები

მოქმედი **კანონმდებლობის თანახმად, ამჟამინდელი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პუტინმა ეს თანამდებობა ყველა შემთხვევაში უნდა დატოვოს.**

თუ ვივარაუდებთ, რომ მას რუსეთის მართვის სადავეებთან დარჩენა სურს, პუტინმა პრეზიდენტის სავარძელი ან „მემკვიდრეს“ უნდა დაუთმოს, როგორც ერთხელ უკვე გააკეთა — განახორციელა რა 2008 წელს პოლიტიკური „როკი“ იმხანად პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევთან, ან რაღაც სხვა — საგანგებოდ მისთვის შექმნილი უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა უნდა მიიღოს.

რუსეთის მოქმედი კონსტიტუციის ისტორია და ახლის მიღების პირობები

რუსეთის **ფედერაციის მოქმედი კონსტიტუცია 1993 წლის 12 დეკემბერს იქნა მიღებული.**

ახალი კონსტიტუციის მისაღებად აუცილებელია რეფერენდუმი ან საკონსტიტუციო კრების მოწვევა, რომლის შესახებ კანონიც, 1993 წლიდან მოყოლებული, რუსეთში ვერა და ვერ მიიღეს.

კონსტიტუციაში ცვლილებების ნაწილი შეიძლება, სახელმწიფო სათათბიროს მიერაც იქნას შეტანილი, თუმცა ამისათვის რეგიონული პარლამენტების 2/3-ის თანხმობაა საჭირო.

ზორკინის პროექტის არსი

საკონსტიტუციო **სასამართლოს მოქმედმა თავმჯდომარემ საკონსტიტუციო რეფორმის პროექტი ამ დღეებში გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში წარმოადგინა.**

ზორკინი განმარტავს, რომ რუსეთის მოსახლეობას „სამართლიანობისა და საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევის საკონსტიტუციო გზებს“... სთავაზობს და შემდეგი არგუმენტაცია მოჰყავს:

„თუ საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსული მრავალრიცხოვანი საჩივრებით ვიმსჯელებთ, რუსულ საზოგადოებაში დაძაბულობის მთავარი მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაუჭრელობაა, მათ შორის — მოქალაქეთა სოციალური უფლებების არასაკმარისი დაცულობა. მრავალრიცხოვანი სოციოლოგიური კვლევები მოწმობს, რომ სოციალური დაძაბულობა მწვავდება მოსახლეობის გადაღლილი 30-წლიანი რეფორმირებითა და უპრეცედენტო, საერთაშორისო ნორმების დამრღვევი სასანქციო ზეწოლით აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მხრიდან“.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მოსახლეობას შემდეგ გამოსავალს სთავაზობს:

> **— „აუცილებელია სამართლებრივი თეორია, რომელიც ინდივიდუალური თავისუფლებისა და სოციალური სოლიდარობის იდეების სინთეზს უზრუნველყოფს“ (ეს, მისი აზრით, „ყველაზე მეტად შეესაბამება რუსი ხალხის მენტალობას“);**
>
> **— „სამართლიანობის აღქმისადმი ლიბერალურ-ინდივიდუალისტური მიდგომის კორექტირება“ („ეს თავად სამართლის ცნებას სოლიდარიზმის იდეებით გაამდიდრებს“).**

შემდეგ ზორკინი პოლიტიკური მოწყობის საკითხებზე გადადის და წერს, რომ „ლიბერალური წარმომადგენლობითი დემოკრატიის ამჟამინდელი მოდელი, რომელიც დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნების უმრავლესობისთვის, როგორც ევროპისა და ამერიკის წამყვანი პოლიტოლოგები აღიარებენ, აშკარად ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს“.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე „რუსეთის საკონსტიტუციო იდენტურობის“ თემასაც ეხება, რომელიც, მისი შეფასებით, „ადამიანის უფლებების აღქმის საკითხებზე მოქალაქეთა საზოგადოებრივი თანხმობის შედეგს ასახავს“ და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ეს თანხმობა სხვადასხვა სახელმწიფოებში სოციოკულტურული სპეციფიკით ხასიათდება“.

საბოლოო ჯამში, ზორკინი გამოდის ინიციატივით, „რუსი ხალხისთვის დამახასიათებელი კოლექტივიზმი, რომელიც, შეიძლება, ითქვას, გამოიბრძმედა მკაცრ ბუნებრივ პირობებში, დაუსრულებელ თავდაცვით ომებში, მრავალი ერისა და ეროვნების საკუთარ მიწაზე ერთიანი ბედით გაერთიანების აუცილებლობაში, დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს საკონსტიტუციო პრინციპების საფუძველზე შეერწყას კონკურენტული პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას“.

ზორკინის „პირადი ხედვა“ თუ კრემლის მიერ ნიაღაგის მოსინჯვა?

ხმები **იმის შესახებ, რომ კრემლი პუტინის უვადო მმართველობის უზრუნველსაყოფად საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხს განიხილავდა, ჯერ კიდევ წლევანდელ (მარტი) საპრეზიდენტო არჩევნებამდე გაჩნდა.** რამდენიმე ტელეარხზე გავრცელდა ინფორმაცია რუსეთში საკონსტიტუციო რეფორმის მზადების შესახებ:

„რუსეთის კონსტიტუციის 25-ე წლისთავთან დაკავშირებით პრეზიდენტმა პუტინმა შესაძლოა, საკონსტიტუციო რეფორმის ინიცირება მოახდინოს, რომელსაც ფედერალური კრება ახალ წლამდე გააფორმებს. რეფორმა ხელისუფლების ახალი საკონსტიტუციო მოდელის ჩამოყალიბებისა და პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების გამოცხადების შესაძლებლობას შექმნისო“.

გავიდა მცირე ხანი — შფოთიანი რამდენიმე თვე და გამოჩნდა ზორკინის პროექტი.

მისი გასაჯაროებისას ავტორმა განმარტა, რომ ეს არის „ხელისუფლების პასუხი საშიშ მოწოდებებზე კარდინალური საკონსტიტუციო რეფორმისადმი, რომელიც თავის თავში მკვეთრი სოციალურ-პოლიტიკური დესტაბილიზაციის საფრთხეს მოიცავს“.

თუმცა დღეს ამ პროექტის ირგვლივ აგორებულ სკანდალს კრემლი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ეს „ზორკინის პირადი ხედვაა და არა ხელისუფლების“.

ექსპერტებს კრემლის ცრემლების არ სჯერათ

თუმცა ექსპერტების უმრავლესობა თვლის, რომ მსგავსი პროექტების „შემოგდებით“ კრემლი საზოგადოების რეაქციას ეცნობა და „ნიადაგს სინჯავს“.

პუბლიცისტი ნიკოლაი პოდოსოკორსკი:

„იმ ვერსიას, რომ 75 წლის ვალერი ზორკინი, რომელიც უკვე 17 წელია, საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელობს, რეალურად არის განწყობილი არსებული პოლიტიკური რეჟიმის ლიბერალიზაციისთვის, მხოლოდ მიამიტი თუ დაიჯერებს. შეგახსენებთ, რომ გასული წლის დეკემბერში ზორკინმა რუსეთში თავისუფლების გაფართოების წინააღმდეგ გაილაშქრა: „ჭარბი თავისუფლება საზოგადოების ნორალურ საფუძვლებს არყევსო“. უფრო ადრე, 2014 წელს მან ბრძანა: „თავის დროზე გლეხებისთვის პირადი თავისუფლებების მინიჭება დიდი შეცდომა იყო და, საბოლოო ჯამში, რევოლუციას შეუწყო ხელიო“, მოგვიანებით კი რუსეთის მოქალაქეების სოციალური უფლებების შეზღუდვის ინიციატივა გააჟღერა: ეს „საერთო სიკეთის საკონსტიტუციო ფასეულობების დაცვისათვის არის აუცილებელიო“. მერე ისიც დაამატა, „კონსტიტუციის მე-7 მუხლით მოცული „სოციალური სახელმწიფოს ცნება სხვა მუხლებში იმგვარადაა გაშლილი, რომ სულაც არ ავალდებულებს სახელმწიფოს, ყოველი მოქალაქის სასიცოცხლო მოთხოვნილებები დაკმაყოფილოსო“. იმავე წლის მაისში ზორკინმა გააკრიტიკა უფლებადამცველებიც და განაცხადა, რომ „ადამიანის უფლებების დაცვა არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს სახელმწიფო სუვერენიტეტსა და საზოგადოების რელიგიურ იდენტობას“.

ერთი სიტყვით, ბოლო წლებში ზორკინმა ბევრი რამის თქმა მოასწრო და მისი მხრიდან რუსეთში ახალი რევოლუციის საფრთხეების შეხსენება შეიძლება, მხოლოდ ერთს ნიშნავდეს: ნებისმიერი ცვლილება კონსტიტუციაში უცილობლად დაარტყამს რუსეთის მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების ნარჩენებს და მიმართული იქნება შერყეული რეჟიმის მომძლავრებასა და საპროტესტო განწყობების ჩახშობაზე“.

ისტორიკოსი ივან კურილა:

„როგორც ჩანს, ცვლილებები პუტინის უვადო მმართველობის უზრუნველსაყოფად მზადდება. ამასთანავე, სრულიად შესაძლებელია, დაანაკუწონ (კონსტიტუციის) ლიბერალური ნაწილი — უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. და, თავისთავად ცხადია, მიაყოლებენ საერთაშორისო შეთანხმებების პრიორიტეტულობასაც.

თუ წინა წლების გამოცდილებით ვიმსჯელებთ, ამ საკონსტიტუციო სპეცოპერაციაში შეჩერებასა და კრიტიკისთვის ანგარიშის გაწევას არავინ დაიწყებს. თან ვითარებაც სხვაგვარია, — ახლა რეჟიმი სერიოზულად რისკავს და ვფიქრობ, თავადაც ვეღარ აკეთებს ჯეროვნად გათვლებს: გავა ვინმე ქუჩაში თუ არა? დაიწყება ჯანყი ელიტაში თუ არა?... შესაძლოა, არც არაფერი მოხდეს, თუმცა დღევანდელ ვითარებაში რთულია, ამაში დარწმუნებული იყო“.

რობერტ დე ნიროს ასაფეთქებელი მოწყობილობა გაუგზავნეს

სოროსის, ბარაკ ობამას, ჰილარი კლინტონისა და დემოკრატიულ პარტიასთან ასოცირებული ადამიანებისთვის „საეჭვო პაკეტების“ გაგზავნის შემდეგ, მსგავსი პაკეტი ცნობილმა ამერიკელმა მსახიობმა და რეჟისორმა რობერტ დე ნირომაც მიიღო. ინფორმაციას ამის შესახებ CNN ავრცელებს.

შეგახსენებთ, მიმდინარე კვირას ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურმა ხელში ჩაიგდო ორი „საეჭვო პაკეტი“ , რომელიც ამერიკის 44-ე პრეზიდენტის ბარაკ ობამასა და 2016 წლის საპრეზიდენტო კანდიდატის ჰილარი კლინტონისთვის იყო განკუთვნილი. მსგავსი ინციდენტი კვირის დასაწყისშიც მოხდა, ორშაბათს, 22 ოქტომბერს, ნიუ იორკში, ამერიკელი მილიარდერის ჯორჯ სოროსის სახლთან ასაფეთქებელი მოწყობილობა იპოვეს. გუშინ ნიუ იორკში CNN-ის ოფისში ევაკუაცია განხორციელდა, რისი მიზეზიც შენობაში ბომბის არსებობის შესახებ შესული შეტყობინება გახდა.

2-დოლარიანი ბილეთით აშშ-ის მოქალაქემ ლატარიაში 1.5 მილიარდი დოლარი მოიგო

აშშ-ში „მეგა მილიონების“ ლატარიის ჯეკპოტი 1,5 მილიარდი აშშ დოლარი გათამაშდა, ის სამხრეთ კაროლინის მაცხოვრებელმა მოიგო. მოგებული ბილეთის რიცხვები იყო 5, 28, 62, 62 და 70 იყო, ხოლო ბონუს ბურთის ნომერი 5. ბილეთი 2 დოლარი ღირს, მოგების შანსი კი 302 მილიონიდან ერთი იყო.

სრულად გამოტანის შემთხვევაში ლატარიაში მოგებულ პირს 878 მლნ დოლარი ერგება. სხვა შემთხვევაში კი მას 1.537 მილიარდი აშშ დოლარი 29 წლის განმავლობაში ეტაპობრივად გადაეცემა. რეკორდული მოგება დაფიქსირდა 2016 წელს — 1.586 მლრდ აშშ დოლარი 3-მა მოგებულმა ბილეთმა გაინაწილა.

ელექტრომობილები: ეკონომიკური მდგრადობის გაზრდის კიდევ ერთი გზა

2020 წლისთვის გერმანია ვარაუდობს, რომ მის გზებზე მილიონი ელექტრომობილი იმოძრავებს, ნორვეგიაში აქტიურად განიხილავენ კანონს, რომლის მიხედვითაც 2025 წლიდან ქვეყანაში მხოლოდ ელექტრომობილები უნდა გაიყიდოს. დღეს კი ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავრობა 10 წლის განმავლობაში მოქმედი ავტოპარკის 90% ელექტრომობილებით ჩანაცვლებას გეგმავს.

მამუკა ბახტაძის განცხადებას HUB Georgia-ს აღმასრულებელი დირექტორი ვასო ურუშაძე ეხმაურება:



„ხელისუფლების მხრიდან წამახალისებელი პოლიტიკის გატარება ეკოლოგიის კუთხით მისასალმებელია, თუმცა ავტოპარკის ხელოვნურად განახლება მთავრობას არ შეუძლია. ეს ბუნებრივი პროცესია და პირდაპირ არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან. როდესაც იზრდება ადამიანის შემოსავალი, ის მაშინ ცდილობს, განაახლოს პირველადი მოხმარების ისეთი ნივთები, როგორიცაა ავტომობილი, მობილური და ასე შემდეგ“, — განაცხადა ვასო ურუშაძემ.

პრემიერი აცხადებს, რომ მთავრობა სალიზინგო საქმეებზე მნიშვნელოვან შეღავათებს დააწესებს, რომლის მიხედვითაც, შიდაწვისძრავიანი ავტომობილების მფლობელები, საწვავის ეკონომიის ხარჯზე, გადაიხდიან ავტომობილის ღირებულებას და, ფაქტობრივად, გამოისყიდიან ახალ ელექტრომობილს. ვასო ურუშაძისთვის ხელისუფლების მხრიდან მსგავსი სერვისის შეთავაზება წარმოუდგენელია.

„ჩვენ არ ვცხოვრობთ სოციალისტურ სახელმწიფოში, რომ მთავრობამ შეიძინოს ავტომობილები და დაურიგოს ხალხს. ეს უნდა იყოს ბუნებრივი პროცესი და თავად ხალხმა უნდა გააკეთოს არჩევანი ელექტრომობილებზე. მთავრობას შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ წამახალისებელი პოლიტიკა ჰქონდეს, მაგალითად, ვინც ელექტრომობილს შეიძენს, განბაჟების ღირებულებას არ იხდის“, — აცხადებს ვასო ურუშაძე

ვასო ურუშაძე ასევე ყურადღებას ელექტრომობილებისთვის დამტენი ინფრასტრუქტურის შექმნაზე ამახვილებს. მისი თქმით, სახელმწიფო ამ პრობლემის მოგვარებას დამოუკიდებლად ვერ შეძლებს, რადგან დამტენი ინფრასტრუქტურის შექმნას დიდი ფინანსური რესურსი სჭირდება.

„ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს მასშტაბით ელექტრომობილებისთვის დასამუხტი ინფრასტრუქტურის შექმნა. შეუძლებელია ეს ხელისუფლებამ საკუთარ თავზე აიღოს. მთავარია პოლიტიკის შემუშავება, რომლითაც კერძო სექტორი დაინტერესდება, ანუ კომერციულად საინტერესო უნდა გახდეს, ვთქვათ, მაგალითად რესტორნებისთვის, სავაჭრო ცენტრებისთვის და ასე შემდეგ. სახელმწიფო ამას ვერ და არც მოახერხებს, სახელმწიფოს ფუნქცია არ არის შექმნას ისეთი ინფრასტრუქტურა, რომლის გაკეთებაც კერძოს სექტორსაც შეუძლია“, — ამბობს ვასო ურუშაძე.

მამუკა ბახტაძე ავტოპარკის ელექტრომობილებით ჩანაცვლებით სავაჭრო დეფიციტის შემცირებას ელის, თუმცა ვასო ურუშაძე პრემიერს არც ამ ნაწილში ეთანხმება:

„საკმაოდ სწრაფად იზრდება ელექტრომობილების რაოდენობა ქვეყანაში, თუმცა იზრდება საწვავზე ფასიც და ეს არის შეუქცევადი პროცესი. რამდენჯერაც შემცირდება ნავთობპროდუქტების მოხმარება, პროპორციულად გაიზრდება ფასი და ეს თანხა მაინც ქვეყნიდან მაინც გაედინება, რადგან საწვავზე მოთხოვნა მაინც იქნება. გამოსავალი, რომ ჩვენ შევამცირებთ ნავთობის იმპორტს და ამით ეკონომიკის მდგრადობას განვამტკიცებთ, არის რეალობას აცდენილი“, — განაცხადა ვასო ურუშაძემ.

მაშინ, როდესაც ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარება ყოველდღიურად იზრდება, შესაძლოა, ელექტრომობილების დიდმა ოდენობამ ქვეყანას სერიოზული პრობლემები შეუქმნას ენერგიის დეფიციტის თვალსაზრისით:

„ამას სჭირდება საფუძვლიანი კვლევები. განვითარებულ ქვეყნებშიც, სადაც ბუნებრივად ვითარდება ეს პროცესი, არ აქვთ დადგენილი, თუ რა მასშტაბის პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა, სადაც ელექტროენერგიის დეფიციტი იქმნება. თუმცა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, გვაქვს ის პოტენციალი, რომ გავზარდოთ ელექტროენერგიის გამომუშავების სიმძლავრე ქვეყანაში“.

HUB Georgia-ს აღმასრულებელი დირექტორი ამბობს, რომ ხელისუფლებამ უფრო მასშტაბურად უნდა იფიქროს. მისი თქმით, ისეთმა მცირებიუჯეტიანმა სახელმწიფომ, როგორიც საქართველოა, არამომგებიანი პროექტები არ უნდა განახორციელოს. „ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვანი მეგაპროექტები სჭირდება. მაგალითად, ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩვენ ვიყოთ ჰაბი მრავალი მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვართ ნავთობმომპოვებელი სახელმწიფო, ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ ნავთობპროდუქტების ექსპორტიორი სახელმწიფო. ჩვენ შეგვიძლია, ხელი შევუწყოთ ინვესტიციების მოზიდვას ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების მშენებლობისთვის. ნედლი ნავთობის იმპორტი მოხდება როგორც აზერბაიჯანიდან, თურქმენეთიდან, ყაზახეთიდან, ასევე აფრიკის ქვეყნებიდან. ნედლი ნავთობის ქვეყანაში გადამუშავება კი სხვადასხვა ნავთობპროდუქტის სხვადასხვა სახით წარმოების შესაძლებლობას იძლევა, იქნება ეს საავიაციო ნავთი, დიზელი თუ ბენზინი. შეიძლება, ამას მიებას საბურავების წარმოება, რაც ძალიან დიდ ინვესტიციასთან არის დაკავშირებული, ეს საქართველოს ეკონომიკას მნიშვნელოვნად განავითარებს“,** — აცხადებს ვასო ურუშაძე.

ბაჩო ადამია

ყველაზე მეტი საფრთხე გაზის ტარიფს ემუქრება!

გაზის კომპანიებმა ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას უკვე მიმართეს თხოვნით, გადაიხედოს გაზის ტარიფი. სემეკში გადაწყვეტილების ზუსტი თარიღი არ იციან, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ ბუნებრივი აირის საფასური მართლაც შეიცვალოს. ზამთრის წინ გაზის გადასახადის ზრდა მოთმინებადაკარგულ მოსახლეობას საერთოდ წყობიდან გამოიყვანს. დეპუტატი დავით ჭიჭინაძე ამბობს, რომ, თუ ასეთი ეკონომიკური პროცესები გაგრძელდება, „ქართული ოცნება“ ნამდვილად აღარ იქნება ხელისუფლებაში.

ოპოზიცია ტარიფების ზრდის გარდაუვალობაზე საუბრობს. ამის წინაპირობა ეკონომიკურმა გუნდმა ჯერ კიდევ ქვეყნის მთავარ საფინანსო დოკუმენტში ჩადო, როცა სახელმწიფო ბიუჯეტი დოლარი 2 ლარსა და 63 თეთრიან კურსზე გათვალა. უმცირესობა, ლარის გაუფასურებასთან ერთად, ტარიფების ზრდას ელოდება.

სემეკში დენის ტარიფის გადახედვაზე განაცხადი ჯერ არ შეუტანიათ, თუმცა, ენერგეტიკოსები ფასების ზრდას არც აქ გამორიცხავენ. ეს გარდაუვალი იქნება, თუ ლარი კიდევ გაუფასურდა და ის დოლართან მიმართებაში, 2,80-ს ასცდება.

ელექტროენერგიის ტარიფი სემეკმა გასულ წელს 3 წლის ვადით დაადგინა, თუმცა 2,50-იან ნიშნულზე. ახლა უკვე სხვა რეალობაა და გამანაწილებელ კომპანიებს ვერავინ დაუშლის ტარიფების ზრდის შესახებ ახალი განაცხადის წარდგენას. სემეკის თავმჯდომარის ირინა მილორავას განმარტებით, გაიზრდება თუ არა სამომხმარებლო ტარიფი, დამოკიდებულია მარეგულირებელი კომისიის მიერ კომპანიების ტარიფების დადგენაზე, რომელიც 2018 წლის ბოლოსთვის გახდება ცნობილი.

შარშან სემეკმა ელექტროენერგეტიკული სექტორისთვის ტარიფები 2020 წლის ჩათვლით დაადგინა. მილორავას თქმით, თუკი კომპანიები ჩათვლიან, რომ გარკვეული არსებითი ცვლილებები შევიდა იმ მოცემულობაში, რომელიც სემეკმა საფუძვლად დაუდო ტარიფის დათვლას, მათ უფლება აქვთ, სატარიფო განაცხადით მიმართონ მარეგულირებელ კომისიას. ენერგეტიკოსი გია არაბიძე აცხადებს, რომ თუ ლარი კვლავ განაგრძობს გაუფასურებას, ენერგოკომპანიებს ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნებათ, რადგან ისინი დოლარში ყიდულობენ გაზს და საქართველოს მოსახლეობისთვის ლარში ყიდიან...

ნოემბრიდან ბინებისა და მანქანების ფასიც დაეცემა და რეალიზაციაც!

ეროვნული ბანკის რეგულაცია გარდა იმისა, რომ „შავ ბაზარს“ განავითარებს, უძრავ-მოძრავი ქონების ბაზარს დიდ პრობლემებს შეუქმნის. მოსალოდნელია, ბინების, მიწების, ავტომობილებისა და სხვა ძვირადღირებული ნივთების რეალიზაციის კლება.

შეზღუდვა, რომელიც 1 ნოემბრიდან ამოქმედდება, მომხმარებლის სხვადასხვა კატეგორიაზე აისახება და, შესაბამისად, სამომხმარებლო ბაზარზე ახალ ვითარებას წარმოშობს. უძრავი ქონების ბაზრის სპეციალისტები, ავტოიმპორტიორები და ტექნიკის მაღაზიების წარმომადგენლები შიშობენ, რომ კლიენტები შემოაკლდებათ. მანქანების რეალიზაცია, შესაძლოა, 50%-ით შემცირდეს, უძრავი ქონების ბაზრისთვის კი ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იქნება.

დეველოპერული კომპანია „ჯიდიჯი ჯგუფის“ ხელმძღვანელი **ბეჟან წაქაძე** აღნიშნავს, რომ საბანკო რეგულაციები დროული იყო, თუმცა ის ძალიან ბევრი მიმართულებით ცვლილებებს გამოიწვევს. საუბარია, სხვადასხვა ბიზნესსექტორზე, რომელსაც ყველა შემთხვევაში მოუწევს ერთგვარი გადაწყობა. წაქაძის ინფორმაციით, საწყის ეტაპზე გაყიდვების მაჩვენებელი 10-15 პროცენტით შემცირდება. შემდეგ შეიძლება გაიზარდოს. გარდა ამისა, ეს რეგულაცია ბინებზე ფასის შემცირებასაც გამოიწვევს.

კომპანია „რობანი მოტორსის“ დამფუძნებელი **ელგუჯა ჯამაგიძე** ვარაუდობს, რომ ავტომობილების რეალიზაცია განახევრდება.

„ჩვენს მოქალაქეებს დანაზოგი არ ჰყოფნით მანქანის შესაცვლელად ან ახალი მანქანის საყიდლად, ამიტომ ძირითადად განვადებით სარგებლობენ. საქართველოში მანქანა ისეთი ნივთია, რის ყიდვასაც მოქალაქეები ნებისმიერ ფასად შეეცდებიან. შესაძლოა, ლომბარდების მომსახურებით ისარგებლონ ან მევახშეებისგან აიღონ ფული, როცა ალტერნატივაზე დაიწყებენ ფიქრს და ამან ხალხი შეიძლება უარეს ვითარებაში ჩააგდოს, ვიდრე დღეს არის.

ცხადია, შეზღუდვა მომხმარებლებზე ცუდად აისახება, მაგრამ არც ავტომობილების ბაზარს დაადგება სიკეთე. ეს რეგულაცია ძალიან დაგვაზარალებს. ფაქტობრივად, გაყიდვა განახევრდება“, — ამბობს ჯამაგიძე.

საბანკო რეგულაცია სავაჭრო ცენტრებს უკვე შეეხო და მათი პროდუქციის რეალიზაციაც შემცირებულია. როგორც ტექნიკის მაღაზიებში ამბობენ, ვითარება კვლავ არასახარბიელოა. ტექნიკის მაღაზიათა ქსელ „გრანდ ელექტრონიქსის“ კომერციული დირექტორის **გიორგი ჭედიას** ვარაუდით, ნოემბრიდან ახალი რეგულაციის ამოქმედებით ტექნიკის გაყიდვა კიდევ უფრო დაიკლებს.

„სტატისტიკა აჩვენებს, რომ გაყიდვების მაჩვენებელი კიდევ უფრო დაეცა. განვადებების გაცემაზე უფრო მკაცრი რეგულაციების მიღების შემთხვევაში რეალიზაცია შესაბამისადვე შემცირდება. ეს ძალიან ცუდ სიტუაციაში ჩააყენებს არა მხოლოდ ტექნიკის ბაზარს, არამედ სხვადასხვა ინდუსტრიებს. გაყიდვების უმეტესი ნაწილი განვადებაზე მოდის და, თავის მხრივ, ბუნებრივია, ეს თითოეული კომპანიის შემოსავალს ამცირებს“, — აღნიშნა ჭედიამ „კომერსანტთან“.

ეროვნულ ბანკში არ უარყოფენ, რომ სამომხმარებლო ბაზარზე გავლენა მართლაც მოსალოდნელია. სებ-ის პრეზიდენტის კობა გვენეტაძის თქმით, დაზუსტებით შეუძლებელია მხოლოდ იმის თქმა, რომ ტემპი, რაც სამომხმარებლო სესხების ზრდის მიმართულებით გვაქვს, მომავალში ვერ იქნება მდგრადი, ამიტომ ცვლილებები ამ მიმართულებით საჭიროა.

„ჩვენ მხედველობაში ვიღებთ იმ ბოლო ინფორმაციას, რომელიც ბაზარზე გვაქვს. ერთმნიშვნელოვნად რთულია იმის თქმა, რა იქნება გავლენა, მაგრამ შეგვიძლია, დაზუსტებით ვთქვათ, რომ ის ტემპი, რაც სამომხმარებლო სესხების ზრდის მიმართულებით გვაქვს, მომავალში ვერ იქნება მდგრადი. გვინდა, რომ აუცილებლად გაგრძელდეს პორტფელის ზრდა, თუმცა ეს იყოს ჯანსაღი პროცესი, რათა მომხმარებელმა შეძლოს სესხების თავისუფლად მომსახურება და მომავალში არ შეექმნას საფრთხე ფინანსურ სტაბილურობას. გრძელვადიან პერიოდში ის დადებითი, რასაც მოიტანს ეს რეგულაცია, ნამდვილად გადაწონის იმას, რაც შეიძლება მოკლევადიან პერიოდში უარყოფითი ჰქონდეს“, — აცხადებს კობა გვენეტაძე.

ბეჭა დანელია

◎ ძალოსნობა

პლესნოის „ვერცხლი“

საქართველოს ძალოსანთა ახალგაზრდული ნაკრების ახალმა წევრმა – უკრაინელმა ანტონ პლესნოიმ ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

პოლონეთის ქალაქ ზამოსცში მიმდინარე 23-წლამდელთა ევროპირველობის 94 კგ-მდე წონით კატეგორიაში იგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთანაც ახლოს იყო, თუმცა, მსაჯებმა ამის საშუალება არ მისცეს.

პლესნოიმ ატაცში სამივე ცდა (165, 169 და 172 კგ.) გამოიყენა და მე-2 ადგილზე გასულ უკრაინელ პავლო ზაკაშევსკის ერთბაშად 11 კგ-ით აჯობა, მცირე ბრინჯაო კი სომეხ ჰაკობ მკრტჩიანს (160 კგ.) ერგო.

მან აკვრაში 195 კგ-იანი შტანგა დაძლია, შემდეგ კი 202 კგ. 2-ჯერ აწია, თუმცა, არბიტრებმა არცერთი მისვლა არ ჩაუთვალეს და ამით მის მეტოქეებს გზა გაუხსნეს „ოქროსკენ“. შანსი კარგად გამოიყენა ხსენებულმა მკრტჩიანმა, რომელმაც 208 კგ. აკრა, დიდი ჩამორჩენა აღმოფხვრა და ჯამური 368 კგ-ით ანტონს გადაასწრო. საბოლოოდ პლესნოიმ (367 კგ.) მე-2 ადგილი დაიკავა, ბრინჯაოს მედალი კი ბელარუს სიარჰეი ჰარანინს (355 კგ.) ერგო. შეგახსენებთ, რომ ეს ქართული დელეგაციისთვის ევროპის ჩემპიონატზე აღებული უკვე მე-3 მედალია. მანამდე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გოგა ჩხეიძე (69 კგ.) და რევაზ დავითაძე (85 კგ.) ავიდნენ.

იმის გათვალისწინებით, რომ ფიცარნაგზე კიდევ 5 ქართველი ძალოსანი უნდა გავიდეს, ნათელია, რომ აღნიშნული მონაგარი აუცილებლად გაიზრდება.

გეჟან დოლიძე

◎ ფეხბურთი

ასე დაწყვილდნენ

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში დავით ყიფიანის სახელობის თასის 2018 წლის გათამაშების 1/2 ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა, რომელშიც ეროვნული ლიგიდან და ეროვნული ლიგა 2-დან ორ-ორი კლუბი მონაწილეობდა. კენჭისყრის შედეგად გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ: **„გაგრა“ – „დინამო თბილისი“; „თელავი“ – „ტორპედო“.** აღნიშნული ეტაპის ორივე შეხვედრა 7 ნოემბერს 14 საათზე დაიწყება.

ტრადიციისამებრ, შემდეგ ეტაპზე გამსვლელი გუნდები ერთმატჩიან დაპირისპირებაში გამოვლინდებიან.

გიორგი ზოთაძე

◎ ლეგიონერი

შენგელიას გერმანული ტიტული

თორნიკე შენგელიას „ბასკონიამ“ ევროლიგის მორიგ ტურში გერმანიაში „ბაიერნთან“ 71:77 წააგო, ქართველი მძიმე ფორვარდი კი მატჩის უძვირფასესი მოთამაშე (MVP) გახდა.

იგი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 25 წუთში 16 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. თოკომ 5-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 8-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი არ დაუკარგავს, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, ხოლო მის წინააღმდეგ ერთბაშად 9-ჯერ დაჯარიმდნენ.

შედეგად, ქართველი კალათბურთელის სარგებლიანობის კოეფიციენტი 29-ს გაუტოლდა და ეს ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ. „ბასკონიას“ მხრიდან ყველაზე შედეგიანი ფრანგი ცენტრი ვინსენ პუარე იყო 24 ქულითა და 11 მოხსნით, საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა უკანახაზელმა მეტ ჯენინგმა კი 25 წუთში 12 ქულა (3-დან 2 ორქულიანი, 7-დან 2 სამქულიანი და 2 საჯარიმო), 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. ესპანურ კლუბს 1 მოგება და 3 მარცხი მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მისთვის უჩვეულო მე-14 ადგილზეა. მომდევნო მატჩს იგი 1 ნოემბერს შინ თურქული „დარუშაფაკას“ წინააღმდეგ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

34 „ბორჯღალოსანი“ – ფრანგულ შეკრებაზე

თიბისი რაგბის სერიების დაწყებამდე „ბორჯღალოსანთა“ 34-კაციანი შემადგენლობა საფრანგეთში შეიკრიბება, საიდანაც 10 ნოემბრის მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე იტალიაში ჩავა.

დიდი 10-ის, ზე-რაგბის, ტოპ 14-ის და ინგლისური პირველობის კლუბების მოთამაშეები საფრანგეთისკენ გეზს დღეს აიღებენ, სადაც მათ ევროპის წამყვან გუნდებში მოთამაშე თანამემამულენიც შეუერთდებიან.

10 ნოემბერს „ბორჯღალოსნები“ იტალიას ფლორენციაში, „არტემიო ფრანკიზე“ ერკინებიან, რის შემდეგაც თიბისი რაგბის სერიები თბილისში გაგრძელდება და 17 ნოემბერს სამოას „ავჭალაზე“, ხოლო 24 ნოემბერს ტონგას „მიხეილ მესხზე“ დავუხვდებით. ყველა თამაში თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება.

2018 წლის დასკვნით შეხვედრებს **მილტონ ჰეიგი** განსაკუთრებული მოლოდინით ხვდება: „სეზონის დამაგვირგვინებელი თამაშები ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კამპანიაა და გამონაკლისი არც 2018 წლის თიბისი რაგბის სერიებია. გველის სამი უმნიშვნელოვანესი ტესტი მაღალი რანგის მეტოქეებთან და მათ მოსაგებად მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკურად და მენტალურად კარგად მოვემზადოთ.

„მსოფლიო თასამდე 11 თვეზე ნაკლები რჩება და თიბისი რაგბის სერიები ჩვენი მოსამზადებელი გეგმის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. გვეძლევა საკუთარი თავის გამოცდის შესაძლებლობა მაღალი დონის გუნდებთან, რომლებიც ასევე ითამაშებენ იაპონიის მსოფლიო თასზე“.

მომავალ თამაშებს „ბორჯღალოსნები“ რამდენიმე ლიდერის გარეშე ხვდებიან. ტრავმების გამო თიბისი რაგბის სერიები 2018-ს ტოვებენ კოტე მიქაუტაძე, დავით კაჭარავა, კარლენ ასიეშვილი, გიორგი ნემსაძე, ვიტო კოლელიშვილი, კოკი თხილაიშვილი, მირიან მოდებაძე და გუგა შენგელია. სერიებზე ჰეიგი აპირებდა ასევე 20-წლამდელთა ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშის სანდრო სვანიძის გამოძახებასაც, მაგრამ, სამწუხაროდ, მასაც ტრავმა აქვს. ამავე მიზეზით შეკრებაზე ასევე არ იქნება პირველი ქართველი ცენტურიონი მერაბ კვირიკაშვილი.

ფრანგულ შეკრებაზე ოთხი ისეთი მოთამაშე ჩავა, რომელთაც „ბორჯღალოსანთა“ კვართით ჯერ არ უთამაშიათ – უმცროსი „ბორჯღალოსნები“ **გურამ გოგიჩაშვილი** და **თედო აბჟანდაძე,** რომლებმაც თანატოლთა 2017 და 2018 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე საოცრად ითამაშეს; **ბექა გიგაშვილი („გრენობლი“, ტოპ 14)** და **გრიგოლ ქერდიყოშვილი („ლელო სარასენს“, დიდი 10)**. ახალი სახეა **ზურაბ ძნელაძეც („ლოკომოტივი“, დიდი 10),** რომელმაც ნაკრების კვართით ერთადერთხელ, 2013 წელს მსოფლიო რაგბის თბილისის თასზე, სამხრეთ აფრიკის „ა“ ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა.

გამოძახებულთა შორის რამდენიმე ისეთი მორაგბეა, რომელთაც ტრავმების გამო ნაკრებში წელიწადზე მეტია არ უთამაშიათ: **დუდუ ქუბრიაშვილი** (ბოლოს 2 წლის წინათ, 2016 წელს შოტლანდიის წინააღმდეგ ითამაშა); **ბექა ბიწაძე** (ბოლოს 2017 წლის ნოემბერში აშშ-ს წინააღმდეგ ითამაშა); **ბექა გორგაძე** (ბოლოს 2017 წლის რაგბი ევროპაზე რუმინეთთან ითამაშა); **გიორგი აფციაური** (ბოლოს 2016 წელს შოტლანდიასთან ითამაშა).

შემადგენლობაზე ჰეიგი ამბობს: **„ძალიან რთულ სიტუაციაში ვართ, რადგან ტრავმების გამო ბევრი გამოცდილი მოთამაშე გვაკლია. მეორეს მხრივ, ესაა უნიკალური შესაძლებლობა მათთვის, ვინც ნაკრებში ტრავმირებულების ადგილს დაიკავებენ. მათ ექნებათ შანსი, დაგვანახონ რა შეუძლიათ და სხვადასხვა პოზიციებზე შექმნან კონკურენცია.**

მიუხედავად სირთულეებისა, გუნდში გვყავს გამოცდილ მოთამაშეთა ბირთვი, რომლებსაც კარგად ესმით ჩვენი სისტემები. მათ ეროვნულ გუნდში თავი არაერთხელ გამოუჩენიათ და ველი, რომ გუნდს ახლაც გაუძღვებიან. ასევე გვყავს ახალგაზრდა მოთამაშეები, რომლებიც საქართველოსა თუ საფრანგეთში საკუთარ კლუბებში შესანიშნავად გამოიყურებიან და მათგან სიახლეებს ველით“.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

სიყვარულს მეფიცებოდაო...

რა გასაკვირია, რომ უპოპულარულესი ბრაზილიელი მოდელი ჟიზელ ბუნდჰენი სხვადასხვა სატელევიზიო შოუების მუდმივი და სასურველი სტუმარია, ასეთი ტიპის გადაცემების მესვეურნი კი მუდამჟამს იმაზე არიან ჩასაფრებული, ცნობილ ადამიანებს რაიმე სკანდალური ამბავი როგორ გამოსტყუონ და მერე ამაზე ააგორონ მთელი ჭორები.

სწორედ ასეთი ამბავი დასტყუა ერთ-ერთი იქაური სკანდალური შოუს წამყვანმა ჟიზელ ბუნდჰენს, რომელმაც აღიარა, რომ ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი რიკარდო კაკა უკვე ცოლიანი კაცი იყო, როდესაც შეხვედრებს მთხოვდა და სიყვარულს მეფიცებოდაო.

დღეს კაკა ცოლს უკვე დაშორებულია და ეს ამბავი მართალიც რომ იყოს, მოჩხუბარი აღარავინ ეყოლებოდა, მაგრამ ჟიზელ ბუნდჰენის დაუდევარი წამოყრანტალება მაინც უცნაურად გვეჩვენა. ამ ქალმა პირი რომ მოაღოს და ყველა თავისი თაყვანისმცემელი „ჩაუშვას“, იქ ამბავი დატრიალდება – დედა შვილს არ აიყვანს ხელში...

როსტომ რაჭველიშვილი

ასე ამბობდა გაიოს იულიოს კეისარი

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**





კეისარი. (ვატიკანი)

საგულისყურო ამონარიდები „გალური ომის ჩანაწერებიდან“

ყოვლის უფრორე კეთილ-მოწყობილ თემებში არის კანონი, რომლის მიხედვითაც, ვინც რომ მეზობელთაგან შეიტყობს ამბავს რასმე, დანაყბედ-მონაჭორსა თუ ავ მითქმა-მოთქმას, რაც კი რამ თემთა საზოგადოებრივ მიზნებს ეხება, მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებას უნდა აცნობოს და არცვის სხვას, რამეთუ გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ცრუ ხმები ხშირად შიშის ზარსა სცემენ გონებამიხდილ და გამოუცდელ ადამიანთ, ამასთანავე, არაერთი მოუფიქრებელი მოქმედებისათვის განაწყობენ და აიძულებენ მნიშვნელოვან საქმეთათვის საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებათა მიღებას. ხელისუფალნი უკეთუ საჭიროდ ცნობენ მავანთ, ამ ნატყაჭუნარის დამალვას, დამალავენ, ხოლო უკეთუ სასარგებლოდ მიიჩნევენ, ადგებიან და გამოუცხადებენ ხალხს, მაგრამ საერთოდ, სახელმწიფოებრივ საქმეებზე ლაპარაკი ნებადართულია მართ ოდენ სახალხო კრებაში.

* * *

ოდესმე იყო დრო-ჟამი, როს გალნი სიმამაცით ბევრად სჯობდნენ გერმანელთ, თვითონ უწყებდნენ იმათ ომს და მიწა-წყლის სიმცირისას მოსახლეობის სიჭარბის გამო თავიანთ კოლონიებს რაინის გაღმა ასახლებდნენ. ამგვარად, ყოვლის უფროისად ნოყიერი ადგილები გერმანიაში გერკინის ტყის ახლოისად (როგორც მე ვგონებ, ყურმოკრულად ის ცნობილია ერატოსთენისთვის და ზოგიერთ სხვა ბერძენი სწავლულისთვის ორკინის ტყის სახელით) დაიპყრეს ვოლკიტეკტოსაგები და იქ გადასოფელდნენ. ის ხალხი დღეს აქამომდე იქ ცხოვრობს და დიდი სახელ-დიდებით სარგებლობს თავისი სამართლიანობისა და სამხედრო სიქველისა გამო.

* * *

(**გერმანულ** ტყეთა ცხოველ-ნადირთა თაობაზე) აქ ბინადრობს ირმისდამაგვარი ხარი, რომელსაც შუბლზე ყურებს შორის ერთი რქა უჩანს, ის ბევრად უფრორე მოზრდილი და სწორია, ვიდრე ჩვენთვის ცნობილი რომელიმე რქოსანი პირუტყვის რქა. თავის ზედა ნაწილში ის ფართოდ განშტოებულია ხელისგულისა და არტოთა მსგავსად. ფური ეგრეთივე აგებულებისაა, ვითარცა ხარი: რქანიც იმნარივე და იმდაგვარი სიდიდის აქვს. იქ არიან აგრეთვე ეგრეთ წოდებული ცხენ-ირმები, ტანითა და სიჭრელით თხათა მსგავსნი, ოღონდ რამდენადმე იმათზე დიდნი, რქანი ბოკო აქვთ, ხოლო ფეხები უიოგო და უშესახსრებო. ამიტომ, თუ ეძინებათ, ვერა წვებიან, ხოლო იბედივ უკეთუ წაიქცნენ, ვეღარც ფეხზე დგებიან და არც კიდევ წამოწევა ძალუძთ. ბუნაგის მაგივრობას იმათ ხეები უწევენ: მიეყრდნობიან და ესეგვარად სძინავთ, მცირედ უკან გადახრილთ. როგორც კი იმათ კვალს ადევნებულნი მონადირენი იმათ დასაძინებლად მისაყრდნობელ ხეებს თვალში ამოიღებენ, ეგრევე ძირს უხრიან ან იმ დონეზედ ჭრიან, რომ გეგონება, მაგრად დგანანო. არადა ცხენ-ირემნი, ჩვეულებისამებრ, მთელი სიმძიმით მიეყრდნობიან თუ არა, ძირმორყეული ხეები ეგრევე ძირს ეცემიან და ძალმორეულნი ცხენ-ირემნიც ზღართანს მოადენენ ხოლმე. მესამე ჯიშის ცხოველთაგან იქ დომბები გვხვდებიან. ისინი სპილოებზე რამდენადმე პატარანი არიან, ხოლო გარეგნულად ფერითა და ტანაგებულებით ხართ ჰგვანან. ძალის მხრივ ძალიან ძლიერნი არიან და არ ინდობენ არც კაცთ და არც ცხოველთ, რომელთაც თვალს მოჰკრავენ. გერმანელნი ცდილობენ, რომ ისინი ხნარცვთა შიგან ჩაიტყუონ და იქ ხოცავენ. ამა ძნელსა და თავისებურ ნადირობაში ვარჯიშობს და იწრთობა ჯერეთ კიდევ დღემოუჭმელი თაობა, ახალგაზრდობა და ვინც ყოვლის უფროისად ბევრ დომბას მოკლავს და ამის დასამტკიცებლად საჯაროდ გამოფენს იმათ რქებს, ფრიად დიდ აზმა-შესხმას მოიხვეჭს. დომბა რაც არ უნდა პატარა დაიჭიროს, ადამიანს მაინც არ ეჩვევა, არ შინაურდება და ვერ დაიხელისებ. თავიანთი ზომით, აგებულებით და გარეგნული სახით დომბათა რქები ძალზე განსხვავებულია ჩვენთა ხარ-აზავერთა რქათაგან. იმათ მოპოვებას იმადაც ცდილობენ, რომ ბედნიერ დღეებში ნადიმებზე ჯამ-თასებისა და ფიალების ნაცვლად ნაპირებმოვერცხლილთ ყანწებად ხმარობენ.



კეისარი. (ტურინი)

* * *

(**ვერცინგეტორიქსზე**)* განსაკუთრებული ენერგია იმისი შეერთებულია სამხედრო დისციპლინის განსაკუთრებულსავე სიმკაცრესთან: მოყოყმანეთა და ორჭოფთ ის გვარიანად სჯის, ხოლო დიდი დანაშაულისთვის ბრალეულის დაწვასა და ყოველგვარი ტანჯვა-წამებით დასჯასა ბრძანებს, მცირე დანაშაულისთვის საკმარისად მიიჩნევს ყურ-სასმენელთა დაჭრას, ანდა ცალი თვალის ამოთხრას და ესეგვარ დღეში ჩავარდნილის სამშობლოში გაგზავნას, რათა დასჯილნი გაკვეთილად იქცნენ დანარჩენთათვის და თავიანთი უმძიმესი სასჯელით შიშს ჩააგონებდნენ იმათ.

* * *

დასტურ უდიდეს უსამართლობაში ვიქნებოდი ბრალეული, უკეთუ ჩემთა ჯარისკაც-ერისაგანთა სიცოცხლე ჩემს პირად მიზნებზე ძვირფასი იქნებოდა.

კეისარი იმ ტომთა შესახებ, ვისთანაც ბრძოლა უნევდა

სუყოველ რამდენადმე ყურადსაღებ და სათვალმჩენო ამბისა გამო გალნი ველად გაჭრილნი ყვირიან და მთელს არემარეს შეძრავენ ხოლმე.

* * *

რაც შეეხება გალთ, რომის პროვინციათა სიახლოვე და უცხოური საქონლის გაცნობა ხელს უწყობს იმათ კეთილდღეობასა და ახალ ნება-სურვილთ; ამის წყალობით ისინი ნელ-ნელა დამარცხებას მიეჩვივნენ და ის კი არა, მრავალი დამარცხების შემდგომ თავადვე არა ცდილობენ, რომ გერმანელთ სიმამაცეში გაუტოლდნენ.

* * *

გერმანელთ არ უწყიან მანძილის ზღვარი.

* * *

შეიარაღებული თავყრილობა, გალური გაგებით, ეს საომარ მოქმედებათა დაწყებას უდრის: ამ თავყრილობებზე მოვალეობისდა თანახმად, თავს იყრის სუყოველი მოზრდილი გალი სრულად შეიარაღებული; ვინც სულ ბოლოს მოდის, იმას შეკრებილი ხალხის თვალწინ ჯაჯზე აკრავენ და აწამებენ.

* * *

გალნი ღვთისმოსავნი არიან. ამიტომ მძიმედ სნეულნი და აგრეთვე ისინი, ვინც მთელ ცხოვრებას ომში და ათასგვარ ხიფათში ატარებს, ან უკვე სწირავენ, ან აღუთქვამენ ადამიანის მსხვერპლად შეწირვას; ამ საქმეს დრუიდნი უგვარებენ. გალნი ჰგონებენ, რომ უკვდავ ღმერთებს თავს ვერ შეაწყალებინებენ სხვაგვარად, თუ ადამიანის სიცოცხლისთვის ადამიანისავე სიცოცხლეს არ შესწირავენ. მსხვერპლთა შესაწირავად გალთ საზოგადოებრივი სამსხვერპლოებიც კი აქვთ. ზოგიერთი ტომი კი მიზნისთვის უზარმაზარ წნელის ფიტულთ იყენებს, გალიასებრთ, და ტომის წარმომადგენელნი შიგ ცოცხალ ადამიანთ სხამენ, მერმე ქვემოდან ცეცხლს უკიდებენ და ფიტულში მყოფნი ეგრევე იბუგებიან. მაგრამ გალთა აზრით, უკვდავ ღმერთათვის ბევრად სასურველია, უკეთუ მსხვერპლად შესწირავენ ქურდობაში, სხვათა ძარცვა-გლეჯაში ანდა სხვა მძიმე დანაშაულში მხილებულთ; ხოლო როს ესეგვარი ხალხი ცოტაა, არმაკმარეა, მაშინ ისინი სრულიად უდანაშაულოთაც კი სწირავენ.

* * *

ჰელვეტნი თავიანთი სიმამაცით ყოველთ სჯობიან.

* * *

ჰელვეტნი ჰგონებდნენ, რომ ხალხმრავალნი, სამხედრო აზმა-დიდებით მოსილნი და მამაცნი მეტისმეტად მჭირსნედ, ვიწროდ იყვნენ თავიანთ მიწა-წყალზე, რომელიც სიგრძით გადაჭიმული იყო ორას ორმოც მილზე და სიგანით ას სამოცზე.



კეისარი. (კორინთო)

* * *

ამრიგად, უნდა გვეღიარებინა, რომ ამ საოცარმა მამაცმა ხალხმა (გერმანელთ) გადაწყვიტა კარგაგვარიანად ფართო მდინარის წიაღსვლა, ამავ მდინარის მაღალ ნაპირთა ზედან ასვლა და უთუოდ საშიში პოზიციის დაკავება: ამ ხალხის არაჩვეულებრივმა გმირობამ სუყოველი ეს უდიდესი სიძნელე აშკარად შეამსუბუქა.

* * *

რამდენადაც გალნი მხნედ და გაბედულად იწყებენ ომს, იმდენადვე სუსტი ხასიათისანი და მერყევნი არიან წარუმატებლობის ატანაში.

* * *

გალნი ნამეტანი ჩქარნი არიან გადაწყვეტილებათა მხრივ და არცრა ცვლილებას თავს არ არიდებენ. ამ ხალხს ჩვეულებად აქვს, რომ მოგზაურთ რომც არ უნდოდეთ, მაინც აჩერებენ და ეკითხებიან, რა გსმენიათ ამ მთისა თუ იმ ბარისა ანდა დანამდვილებით რა იცითო; ზუსტად აგრევე ქალაქებში გარს ეხვევიან სოვდაგარ-ვაჭართ და აიძულებენ მოყოლას, რომელი ქვეყნებიდან არიან მოსულნი და რა ამბებია იქ. ამ ჰაიჰარად მოყოლილ ამბავთა მიხედვით ისინი ხშირად გადაწყვეტილებებს იღებენ ფრიად მნიშვნელოვან საქმეთა გამო, მაგრამ მალევე ინანიან, რამეთუ ხვდებიან, რომ ვაჭართ გულის მოსაგებად ტყუილებით გაბერეს, და უკვე გვიან იყო თითზე კბენანი.

* * *

გერმანელნი პირველნი არ უწყებენ ომს რომაელთ, მაგრამ თუ იმათგან იწყინეს რამე, უარს არ ამბობენ ბრძოლაზე, რამეთუ წინაპართაგან ნაანდერძევ ჩვეულებისდა თანახმად, სუყოველ თავდამსხმელს ეგრევე უტევენ და იგერიებენ, სხვაგვარი დამოკიდებულება მტერთან არ უწყიან.

* * *

დრუიდნი ფრიად დიდი გულისყურით ეკიდებიან ღვთის პატივისცემის საქმეს, თვალყურს ადევნებენ საზოგადოებრივი მსხვერპლშეწირვის სისწორეს, განმარტავენ სუყოველ საკითხს, რაც რამ რელიგიას ეხება; იმათ გარშემო უამრავი ახალგაზრდა ტრიალებს მეცნიერებათა შესწავლის მიზნით და, საერთოდ, გალთა თვალში დიდად ღირსეულ ადამიანებად ჩანან. სუყოველ სადავო საკითხს საზოგადოებრივს თუ კერძოს, ისინი განიხილავენ და განაჩენიც იმათ გამოაქვთ; ჩადენილია დანაშაული რამ თუ მკვლელობა, დავაა მემკვიდრეობისა თუ საზღვართა გამო — იგივე დრუიდნი წყვეტენ; დასაჯილდოებელსაც ისინი აჯილდოებენ და დასასჯელსაც ისინი სჯიან; და უკეთუ მავანი — კერძო პირი იქნება თუ მთელი ხალხი — არ დაემორჩილება იმათ განჩინებას, ეგრევე მსხვერპლშეწირვისგან გაჰკვეთენ. ეს ყოვლის უფრო მძიმე სასჯელია. ვინც ესეგვარად განკვეთილია, ის უღმერთო და ბოროტმოქმედია, ყოველნი გვერდს უვლიან, ზედ არ უყურებენ და არ ელაპარაკებიან, რათა შარს არ გადააწყდნენ, რაღა კეთროვანი და რაღა ის განკვეთილი; რაც არ უნდა ეცადოს, სასამართლოს არ გაუმართავენ; არც რაიმე სახელოს თუ თანამდებობის მოთხოვნის უფლება აქვს. დრუიდთა სათავეში მავანი კაცი დგას, რომელიც უდიდესი აბრუთი სარგებლობს. იმისი სიკვდილის შემდეგ, ყოვლის უფრორე ღირსეული ხდება განსვენებულის მემკვიდრე, ხოლო უკეთუ ასეთი რამდენიმეა, მაშინ დრუიდნი საქმეს კენჭის ყრით წყვეტენ, ხანისად კი დავა იარაღით გვარდება. წლის გარკვეულ ჟამს დრუიდნი წმინდა ადგილას იკრიბებიან კარნუტთა ქვეყანაში, რომელიც მთელი გალიის ცენტრად მიიჩნევა. აქ სუყოველი მხრიდან იკრიბებიან მოდავენი და ემორჩილებიან დრუიდთა ნაბჭობსა და განჩინებას. დრუიდთა სწავლანი, როგორც რომ ჰგონებენ, ბრიტანეთში წარმოიშვა და იქიდან გადმოიტანეს გალიაში; და დღესაქამომდე, რათა საღძირიანად გაიცნონ ის სწავლანი, იქ მავალ ადამიანთ თვლა არა აქვთ.



კეისარი. (ნეაპოლი)

(გაგრძელება იქნება).

* **გალების ტომის არვერნების ბელადი, რომელიც ძვ. 52 წელს სათავეში ჩაუდგა გალების ავჯანყებას რომის წინააღმდეგ.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №213, 214

ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი მეგობრული სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პარლამენტის ორი მოწვევის წევრს, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ყოფილ მინისტრს, ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, საქართველოს სამეცნი ერო-საინჟინრო ინტელიგენციისა და ქართველ ენერგეტიკოსთა ბრწყინვალე საზოგადოებების გამორჩეულ წარმომადგენელს, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ჭეშმარიტ მამულიშვილსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

რევაზ არველაძეს.

◎ სულიერება

ლონგინოზ ასისთავი



29 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ლონგინოზ ასისთავის და ზენონ იყალთოელის ხსენებას.

გადმოცემით, ლონგინოზ ასისთავი სხვა მხედრებთან ერთად იცავდა იესო ქრისტეს ჯვარს. როცა ლონგინოზ ასისთავმა ნახა სასწაულები — მზის დაბნელება, მიწისძვრა, რომლებიც იესო ქრისტეს სიკვდილის მომენტში მოხდა, შესძახა: „ჭეშმარიტად ძე ღმრთისა იყო ესე“ (მათე 27,54). იესოს აღდგომის შემდეგ მან საბოლოოდ იწამა იგი და მოინათლა მოციქულთა მიერ.

საგულისხმოა ის, რომ ლონგინოზი მოწამეობრივად აღესრულა. მის ხსენებას 29 ოქტომბერს აღვნიშნავთ.

ზენონ იყალთოელი

იოანე ზედაზნელის მოწაფე და თანამოღვაწე, ერთ-ერთი ასურელი მამათაგანი, რომელიც VI საუკუნის შუა წლებში ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოვიდა იოანესთან ერთად. თავდაპირველად ზენონი ზედაზნის მონასტერში ცხოვრობდა, შემდეგ კი გადავიდა თავისსავე დაარსებულ იყალთოს მონასტერში, რომელიც ზენონმა დააარსა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ზენონ იყალთოელის მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი კახეთში ქრისტიანული ეკლესიის განმტკიცებას.

გიული ლიპარტია

სად, ჰა, ჰოდის, ვინ?

ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ, ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

1813 წლის 24 ოქტომბერს რუსეთ-ირანის 1804-1813 წლების ომის დასასრულს დაიდო გულისთანის ზავი. ირანმა აღიარა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების გადასვლა რუსეთის მფლობელობაში.

1829 წლის ოქტომბრიდან, რუსეთ-საქართველოს შორის ზავის დადების შემდეგ, დაიწყო სამცხე-საათაბაგოში სომეხთა და ბერძენთა გადმოსახლება თურქეთიდან. სულ 1829-1831 წლებში ოსმალეთიდან სამხრეთ კავკასიაში გადმოსახლდა სომეხთა 14044 ოჯახი (84 ათასი სული), აქედან, 5000 ოჯახი — სამცხე-ჯავახეთში, ხოლო 1050 ოჯახი — ბამბაკისა და ლორეს დისტანციებში.

ამის პარალელურად საქართველოს ისტორიული ტერიტორიიდან ოსმალეთში იწყეს გადასახლება ისლამის აღმსარებელმა მესხებმა. ანდრიანოპოლის ზავის დადებიდან 18 თვის განმავლობაში სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია დატოვა და ოსმალეთში გადასახლდა დაახლოებით 70-75 ათასი ისლამის აღმსარებელი ქართველი, ძირითადად მესხი.



1879 წლის 25 ოქტომბერს რუსეთში, ხერსონის გუბერნიის სოფელ იანოვკაში, მიწათმფლობელისა და მიწის მოიჯარის დავით ბრონშტეინის ოჯახში დაიბადა ლეიბა ბრონშტეინი — ლევ ტროცკი, „ფანატიკოსი რევოლუციონერი“, ოქტომბრის გადატრიალების ერთ-ერთი შემოქმედი ლენინთან ერთად.

1778 წლის ოქტომბერში ქართლიდან თბილისში მიმავალ გიორგი ბატონიშვილის (შემდეგ მეფე გიორგი XII) პირველ ცოლს ქეთევან ანდრონიკაშვილს ღართისკართან ხუთასამდე ლეკი დაუხვდა. ქეთევანს თან ახლდა სამასიოდე ცხენოსანი — მორიგე ჯარის რაზმი. გულადმა ქალმა თვითონ იკისრა მცველთა მეთაურობა და სასტიკად დაამარცხა თავდამსხმელები. ერეკლე მეორე ამალით შეეგება გმირ რძალს და პატივისცემის ნიშნად აღლუმი გაუმართა.

1937 წლის 28 ოქტომბერს გამოიცა სსრკ შინსახკომის №00689 ბრძანება ყველა იმ საბჭოთა მოქალაქის სასწრაფოდ დაპატიმრების შესახებ, რომლებსაც მუდმივი კავშირი ჰქონდათ უცხოეთის საკონსულოებსა და საელჩოებთან.

ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ქართული ეკლესია იხსენებს წმიდა წამებულთ — არგვეთის მთავრებს დავით და კონსტანტინე მხეიძეებს. VIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში დიდძალი ლაშქრით („ვითარცა ქვიშა, სიმრავლითა“) გადავიდა არაბთა სარდალი მურვან ყრუ. არგვეთში ქართულმა ლაშქარმა დავითისა და კონსტანტინეს მეთაურობით დაამარცხა არაბთა ლაშქრის წინმავალი რჩეული ნაწილი — „ურიცხვი მოსრეს და აღუდგინეს ძლევაი დიდი ქრისტიანეთა“. ბოლოს მურვანმა შეიპყრო მათ წინაღმდეგ მედგრად მებრძოლი მთავრები, ძმები დავით და კონსტანტინე მხეიძეები. სასტიკი წამების მიუხედავად, მათ ქრისტიანობა არ უარყვეს. ისინი მდინარე რიონში ჩაახრჩეს.

„ისინი იყვნენ უცოლონი, სრულიად ჭაბუკნი, ქალწულ ხორცითა და მეცნიერ ძუელისა და ახლისა სჯულისა, ჭეშმარიტი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობასა შინა“.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲬᲔᲠᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ:

„ᲔᲚᲕᲐ ᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„ᲛᲐᲪᲜᲔ“
214-74-22; 599 982 777

„ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲐ-ᲤᲝᲠᲢᲔ“
292 18 59; 579 79 99 08

„ᲯᲔᲝᲛᲔᲓᲘᲐ“
266-51-13; 593 209 526

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘᲪ:
2-99-02-10; 599 797 679.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲛᲝᲒᲐᲬᲝᲓᲝᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲐᲓᲐᲪ, ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ.

● ᲠᲐᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲒᲔᲑ!

ᲨᲐᲠᲓᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲒᲣᲠᲘ ᲓᲐᲐᲛᲖᲐᲓᲔᲡ

სამხრეთ აფრიკაში სტუდენტებმა ადამიანის შარდისგან აგურის შექმნის მეთოდი შეიმუშავეს. ეს აგური ეკოლოგიურად სუფთაა, რადგან ის არა მარტო ბუნებრივი ნარჩენების გადამუშავების პროდუქტია, არამედ ის ოთახის ტემპერატურაზე მაგრდება, მას შემდეგ, რაც ერთმანეთში აურევენ შარდს, სილას და სპეციალურ ბაქტერიებს. ეს ნიშნავს იმას, რომ მისი გამოწვისთვის არ არის საჭირო ღუმელი, რომელიც გარემოს დაბინძურებას იწვევს. ბაქტერიები შლიან შარდს, რის შედეგადაც ხდება კალციუმის კარბონატის მიღება, რაც კირქვის ძირითადი კომპონენტია.

„სწორედ ასე იზრდება მარჯანი ზღვაში,“ — აცხადებს დოქტორი დილონ რანდალი, რომელიც ამ ექსპერიმენტს ხელმძღვანელობდა.